ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 დეკემბერი 2002 №242 (1764) ფასი 50 თეთრი


# რეალზე სიმღერა მორჩა

## სველი შოუ: მსოფლიოს ნაკრები 3:3 მსოფლიოს ნაკრები




„რეალის" ფიგუ და მსოფლიოს რივალდო






წლეულს რონალდო „რეალივით" აივსო

REUTERS მადრიდიდან

გუშინ „რეალის" დღე იყო. „სანტიაგო ბერნაბეუზე" მადრიდელები მსოფლიოს ნაკრებს დაუხვდნენ, თავიდან სამი გოლი გაუშვეს და მერე სამიც თავად გაიტანეს. მაგრამ განა გოლებშია საქმე და ეს მატჩიც ხომ იმიტომ არ გამართულა, ვინმეს მოეგო.

გუშინდელი დღეო, ვთქვით და, კაცმა რომ თქვას, მთელი წელიც „რეალის" გახლდათ. საუკუნოვანი იუბილის წელს „რეალმა" მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, კონტინენტთა თასი, იყიდა რონალდო. ორი რეალელი, რონალდო და რობერტო კარლოსი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, იმავ რონალდოს ერგო წლის საუკეთესო ფეხბურთელობა ყველა ვერსიით და ზიდანი და რობერტო კარლოსიც მსოფლიოს საუკეთესოთა შორის იყვნენ.

მაგრამ ისიცაა, რომ დღეს შეუძლებელია, ყველაფერი ერთი გუნდისა იყოს და ფეხბურთი ამითაც არის კარგი. ხომ გახსოვთ, რა მოხდა 6 მარტს, „რეალის" დაბადების დღეზე — კლუბის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა იმდენი მოახერხა, სამეფო თასის ფინალი სწორედ იმ დღეს დაანიშნინა „სანტიაგო ბერნაბეუზე" და როცა დიდი ზეიმისთვის ყველაფერი მზად იყო, „დეპორტივომ" თასის გალისიაში წაღება ინება.

გუშინაც არ იყო ყველაფერი „რეალის" მხარეს. თამაშისას გადაუღებლად წვიმდა და 26 წუთიანი შესვენებისას „რეალის" ჰიმნის შესასრულებლად მოედანზე გასული კლუბის თავგადაკლული ქომაგი პლასიდო დომინგო და ორკესტრანტები ერთიანად გაილუმპნენ.

მაგრამ ეს არ არის მთავარი, ფეხბურთს წვიმაც უხდება, ხოლო „რეალმა", ისევე როგორც ფიგუს, ზიდანისა და რონალდოს ტრანსფერები, სველი ფეხბურთიც შოუდ აქცია.



REUTERS

ასტონ ვილა — ლივერპული. სტივენ ჯერარდმა პიტერ ენკელმანს ფეხებშუა გაუტარა



მილანი — ანკონა. ფერნანდო რედონდო თამაშს იტალიის თასზე ეჩვევა

## Coca-Cola FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 856 | 15 | 15 | ჩეხეთი | 687 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 787 | 16 | 17 | კამერუნი | 685 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 779 | 17 | 18 | ბელგია | 682 |
| 4 | 4 | გერმანია | 761 | 18 | 19 | პარაგვაი | 679 |
| 5 | 5 | არგენტინა | 751 | 19 | 16 | იუგოსლავია | 678 |
| 6 | 10 | ჰოლანდია | 746 | 20 | 20 | სამხრეთ კორეა | 669 |
| 7 | 6 | ინგლისი | 734 | | | | |
| 8 | 7 | მექსიკა | 732 | 22 | 24 | რუსეთი | 650 |
| 9 | 8 | თურქეთი | 729 | | | | |
| 10 | 9 | აშშ | 723 | 44 | 45 | შვეიცარია | 576 |
| 11 | 12 | პორტუგალია | 710 | | | | |
| 12 | 13 | დანია | 707 | 90 | 81 | საქართველო | 456 |
| 13 | 11 | იტალია | 705 | | | | |
| 14 | 14 | ირლანდია | 697 | 93 | 95 | ალბანეთი | 428 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# კიკლი-კიკლი კიზესა

## იყავით მშვიდად, ცხრა სიმბოლური რიცხვია

**ისიამოვნეთ** „კოკა-კოლათი" და დატკბით ფიფას რეიტინგით — საქართველო 81-ედან 9 საფეხბურთო ჩაყურყუმალავდა, ხოლო ევრო 2004-ის შესარჩევში ჩვენს მეტოქეთაგან არავის აქვს უკუსვლა — ასეთია ბოლო თვის რეიტინგული მონაცემები.

ციფრები და ფაქტები — უტყუარი საზომი ჩვენი ყოფისა და არც არაფერი გაგვაჩნია საპირისპირო — საქართველოს ეროვნული ნაკრების სვე-ბედი ალექსანდრე ჩივაძეს, მურთაზ ხურცილავასა და ოთარ გაბელიას ინტელექტზე ჰკიდია.

–და ცხრა ნაბიჯით უკან — ასეთია ამ გუნდის მონაგარი — რეალური და რეიტინგული.

**დავით თავართქილაძე**

# ნოდიამ შუშაკს ხარისხი ჩამოუტანა

**თბილისის** „დინამო" ზამთრის მოსამზადებელ პერიოდს 14-დან 28 იანვრამდე კვიპროსში, ნაცნობ ქალაქში გაივლის — ქვეყნის ათგზის ჩემპიონები აიანაპაში მიემგზავრებიან და სასტუმრო „მელისში" დაბინავდებიან, სწორედ იქ, სადაც დინამოელები წლეულს იანვარშიც იმყოფებოდნენ. ამჯერად თბილისელებმა თავიანთი სპორტული დირექტორი გივი ნოდია პირობების უკეთ გასაცნობად კვიპროსზე შეკრებამდე ერთი თვით ადრე მიავლინეს და საქმეც საბოლოოდ მოგვარდა. პრობლემა ერთი იყო, სავარჯიშო მოედნები, რაზეც „დინამოს" მწვრთნელი ივო შუშაკი ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს. სწორედ შუშაკის თხოვნით, გივი ნოდიას ზამთრის პერიოდისთვის სასურველი გაზონი უნდა შეერჩია თავის გუნდისთვის. გივი ნოდია კვიპროსიდან გუშინ დაბრუნდა და ჩვენც გუშინვე გავესაუბრეთ:

— პირობები იდეალურია, „დინამო" კვლავაც აიანაპაში, სასტუმრო „მელისში" იცხოვრებს, ოღონდ წინა შეკრებისგან განსხვავებით სავარჯიშო მოედნებს შეიცვლის. შუშაკის სურვილით, პირველ ყოვლისა სავარჯიშო მინდვრები გადავამოწმე და 14-16 შემოთავაზებული მოედნიდან უკეთესი ავარჩიე. სავარჯიშო მინდორი უნაკლო იქნება. შუშაკის თხოვნა იყო, რომ ამხანაგური მატჩებისთვის მეტოქედ ადგილობრივი გუნდები დამეგულებინა, რადგანაც მწვრთნელს სურს „დინამომ" მასპინძელთან თამაშისას თავი უცხოდ იგრძნოს, რაც ოფიციალური მატჩებისას ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიურ გავლენას შეამცირებს. ჯერჯერობით მეტოქე ვერ შევარჩიე, რადგან კვიპროსზე გაგანია ჩემპიონატია და თასის მატჩებია. ვინც თასის გათამაშებას ჩამოშორდება, ჩვენც მათ ვეთამაშებით. შუშაკის თქმით, მეტოქის დონეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი სპარინგების ვინაობა კვიპროსზე გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე გვეცოდინება. მატჩები შუა კვირაში ჩატარდება და ორ კვირაში ოთხჯერ ვითამაშებთ, ალბათ, ამდენჯერვე გუნდის სათადარიგო შემადგენლობასაც მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება. კვიპროსის შეკრებისას მოსალოდნელია, რომ უცხოელმა ფეხბურთელებმაც ივარჯიშონ „დინამოსთან" ერთად.

**ქობა ინასარიძე**

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
XIX ტური

ლე მანი 1:0 გრენობლი
ვასკეალი 0:0 შატორუ

### პორტუგალია

თასის V ეტაპი

აკადემიკა 4:1 მიკაელენსე
სანტა კლარა 0:0 (პენ.2:4) *ესპინიუ*
რიუ ავე 1:2 *ფრეამუნდე*
*ლეირია* 4:1 ლუზიტანუ
*ვარზიმი* 2:0 ნასიონალი
მარკუ 0:0 (პენ.1:4) *კოვილია*
*ნავალი* 0:0 (პენ.8:7) ბრაგა
პარედესი 0:3 *გიმარაეში*
*სპორტინგი* 8:1 პოსპიტალი

### საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

პანიონიოსი 1:0 იონიკოსი
აკრატიტოსი 0:1 პანათინაიკოსი

### ინგლისი

ლიგის თასი. 1/4 ფინალი

ასტონ ვილა 3:4 *ლივერპული*

### თურქეთი

თასის 1/8 ფინალი

კონია 2:2დ.დ. (პენ.3:4, 2:2) *ძოზძაელი*
დიარბაქირი 1:2 ანკარა
*გენჩლერი* 6:0 გიოზთეფე
*გალათია* 3:1 ურფა
*რიზე* 1:0 სამსუნი
*ტრაბზონი* 5:2 სივა
დენიზლი 1:2 *ბეშიქთაში*
*გალათასარაი* 1:0 ანკარაგიუჯიუ

### ჰოლანდია

I დივიზიონი
გადადებული მატჩები

ალკმაარი — ბრედა *გადაიდო*
ვიტესი 1:2 ექსელსიორი
ჰერენვენი 2:0 ზვოლე

### იტალია

სერია A
გადადებული მატჩი

კომო — უდინეზე *0:1-ზე ჩაიშალა*

თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩები

ბოლონია 0:2 *ვიჩენცა* (1:1)
*იუვენტუსი* 0:1 რეჯინა (2:0)
*კიევო* 0:0 პიაჩენცა (1:1)
*მილანი* 5:1 ანკონა (1:1)

### ბელგია

თასის 1/8 ფინალი

*სენტ ტრუიდენი* 0:0 (პენ.4:3) ლიერსი
*ბრიუგე* 6:1 ბოხოლტერი
*სტანდარდი* 2:1 შარლერუა
*ლოკერენი* 2:1 მუსკრონი
*ანდერლეხტი* 2:1 ტურნუა
გენკი 1:1დ.დ. (პენ.3:4, 1:1) *ლუვიე*
*ბევერსხოტი* 2:0 ვესტერლო


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მილევა მოსდევ, შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, I კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14


## კალათბურთი

### ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 18 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ბარსელონა 68:54 აეკ

**B ჯგუფი**

უნიკახა 87:75 ბუდუჩნოსტი
პანათინაიკოსი 98:84 ჟალგირისი

**C ჯგუფი**

პარტიზანი 93:81 ცსკა
ულქერი 65:82 ოლიმპიაკოსი
ზლიონსკი 75:73 ვილერბანი
კინდერი 91:82 რეალი

### ULEB Cup ულების თასი

ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 18 დეკემბერი

**B ჯგუფი**

სკაილაინერზი 75:68 პივოვარნა

**D ჯგუფი**

შარლერუა 79:71 ვარეზე

# ბაზის შენებას რა უნდა...

## შვეიცარიელმა სტუმარმა სფფ 250 ათასი ფრანკით შეაგულიანა

## უეფა ქუჩის ბიჭებსაც მიხედავს



საქართველოს ნაკრების ბაზის მშენებლობა 2 აპრილს უნდა დასრულდეს

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების ბიუროს მენეჯერი ბრუნო ვოლფისბერგი სტუმრობს. შვეიცარიელის ვიზიტი 20 დეკემბრამდე გასტანს, თუმცა რაც მნიშვნელოვანი იყო, ვოლფისბერგმა ფედერაციასთან უკვე გაარკვია და, როგორც თავად გვითხრა, უეფაში კმაყოფილი ბრუნდება.*

სტუმარი, რომელიც ფედერაციისთვის კარგად ნაცნობ ერიხ ეპლესთან ერთად უეფაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს კურირებს, ჯერ გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას შეხვდა და ის საკითხები გადაამოწმა, რომელთა შესრულებაც უეფას პარტნიორმა აუდიტორიულმა ფირმა „ერნსტ ენდ იანგმა" ფედერაციას წინასაყრილობო პერიოდში რეკომენდაციის სახით მისცა. ვოლფისბერგი დაესწრო სასტუმრო „თორში" მიმდინარე სამედიცინო პროგრეს-კურსებს, რომელსაც ასევე უეფა აწყობს ქართველი ექიმებისთვის და კიდევ, შვეიცარიელი „ოფენ ვან ფუტბოლსტუულ" პროგრამის ხელმძღვანელ, დანიელ ანდერს ლევირსონთან ერთად საქართველოში ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამაზეც წაიმუშავებს.

გუშინ ბრუნო ვოლფისბერგმა საქართველოს ნაკრების მშენებარე ბაზა მოინახულა დილომში და მეტი რომ არ ვთქვათ, ფედერაციას საქმე მოეწონა. გენერალურ მდივანს დაჰპირდა, ბაზის ინვენტარით აღჭურვისთვის უეფა 250 ათასი შვეიცარიული ფრანკით შეგეწევათო. ჩვენ კი, როცა იქვე გაგვესაუბრა, პირდაპირ გვითხრა, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, ფედერაცია ბაზის კეთილმოწყობისთვის უეფასგან მორიგ დახმარებას მიიღებსო.

— საქართველო ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზა ფიფას ფულით შენდება და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი გამოდის. როცა მშენებლობა დასრულდება და ფედერაცია ამის თაობაზე გვაცნობებს, დარწმუნებული ვარ და თქვენც გარწმუნებთ, ფედერაცია ამ ბაზის თანამედროვე ინვენტარით აღჭურვისთვის 250 ათას შვეიცარიულ ფრანკს გამოვა. ინვენტარს ვამბობ და ყველაფერს ვგულისხმობ, რაც კი ბაზის კეთილმოწყობისთვის საჭიროა — ბალახის თესლებითა და მოედნის ხელოვნური საფარით დაწყებული, სამზარეულოთი და ტრენაჟორებით დამთავრებული.

— **უეფა საამისოდ თქვენს სიტყვას ელის?**

— არაფერს ვიტყვი, არაა საჭირო და იმიტომ. ფედერაციის ახალი ოფისი უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და ერიხ ეპლემ თავადვე ნახეს და ნამუშევარი მოიწონეს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ბაზაც ოფისის დონის იქნება.

— **250 ათასს შვეიცარიულ ფრანკს მხოლოდ საქართველო მიიღებს?**

— არა, ეს დახმარების პროგრამა 13 ქვეყნისთვისაა გათვლილი და 250 ათასს სათითაოდ ყველა მიიღებს. საქართველოს ეს თანხა ბაზისთვის სჭირდება.

— **ფედერაციის გენერალურ მდივანთან შეხვედრით კმაყოფილი ხართ?**

— შემიძლია, გითხრათ, რომ უეფას პარტნიორის, აუდიტორიული ფირმა „ერნსტ ენდ იანგის" რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპის 13 ქვეყნიდან, რომლებსაც ჩვენ ვკურირებთ, ყველაზე სრულყოფილად ქართულმა ფედერაციამ შეასრულა. განსაკუთრებით კი ის მახარებს, რომ სფფ-ის საქმიანობა ბოლო ხანს გამჭვირვალე გახდა. მაინტერესებდა, რეკომენდაციებიდან ფედერაციამ რა შეასრულა, რა — არა. ვნახე, რომ რაც აუცილებელია ქართული ფეხბურთის წინსვლისთვის, ყველაფერი გაკეთებულია. კმაყოფილი ვარ, რასაც ჩვენი ბიუროს სხდომაზე აუცილებლად აღვნიშნავ.



ბრუნო ვოლფისბერგი

— **თქვენთან ერთად ბავშვთა და ქუჩის ფეხბურთის განვითარების პროგრამის ხელმძღვანელიც თბილისშია. ლევირსონი კონკრეტული გეგმით ჩამოვიდა?**

— ანდერს ლევირსონი ამ პროგრამის ხელმძღვანელი და ავტორია. მან თავის პროგრამის განხორციელება ნაომარ იუგოსლავიაში დაიწყო და უკვე გარკვეული შედეგებიც მივიღეთ. ბავშვი ეზოს ფეხბურთს დაუბრუნდა. მშობლებმა ერთმანეთი გაიცნეს. კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, რაც ფეხბურთის განვითარებასა და მეგობრობას უწყობს ხელს. იგივე იდეით ჩამოვედით თბილისში. ლევირსონი დღეს კახეთშია, ხვალ ქუთაისს გაემგზავრება, შემდეგ კი მარნეულის რაიონის სოფელ წერეთელში საფეხბურთო სკოლა „ალგეთს" ესტუმრება.

*საქართველოს ნაკრების ბაზის გახსნა, რომელსაც, სავარაუდოდ, ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი დაესწრება, 2 აპრილს იგეგმება, თუმცა ახლავე შეგვიძლია თქმა, რომ იქაურობა ისეთი გამოდის, მტერს თვალს დაუვსებს. ცენტრალურ საწვრთნელ მოედანზე უკვე ტრენაჟო კეთდება, შენობაში კედლების აყვანა დაიწყო და პარალელურად გადახურვაც მიმდინარეობს. პირველ სართულზე ორი გასახდელი, საცურაო აუზი, საუნა, სამრეცხაო, სატრენაჟორო დარბაზი და აღდგენითი ცენტრი იქნება, მეორეზე — ადმინისტრაცია, საკონფერენციო დარბაზი, საექიმო კაბინეტები, სასადილო, ზემოთ კი 20-კაციანი სასტუმრო, უმაღლესი კომფორტით.*

**კობა ინასარიძე**



ბრუნო ვოლფისბერგმა და ვალერი ჩოლარიამ სამშენებლო ფირმის თავკაცისგან პატკაი ჩაიბარეს

*რუსულ ჩემპიონატში ახლა საშუასეზონო მიდი-მოდია გაჩაღებული, ვლადიკავკაზის „ალანიაში" კი — ქართული მიდი-მოდი. ოსთა სიამაყის სათავეში ჩამდგარი ქართველი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი ძველი ტრადიციის დარღვევას სულაც არ აპირებს და „ალანიას" გაძლიერებას კვლავაც თანამემამულეებით გეგმავს. ვლადიკავკაზში ახალი ქართველების სახელებმაც მალე გაიჟღერა — ზურაბ მენთეშაშვილი და სევასტი თოდუა*



რევაზ ძოძუაშვილი

# ძოძუაშვილი ვლადიკავკაზში ქართულ სათვისტომოს ქმნის

## აშვეთიამ მენთეშაშვილს დაასწრო

**ოსებს** ჩვენებურები აწ უკვე დასრულებულ სეზონშიც არ აკლდათ. მიხეილ აშვეთიამ და გიორგი დემეტრაძემ ლამის მარტოებმა შეუნარჩუნეს გუნდს ადგილი პრემიერლიგაში. კიდევ ერთი თავდამსხმელი გიორგი იმედაძე კი მანამდე ეხმარებოდა „ალანიას" მიზნის მიღწევაში. მერე მასსა და მწვრთნელებს შორის შავმა კატამ გაირბინა და იმედაძეც ტრანსფერზე დააყენეს.

ახლა საქმე სხვაგვარადაა. „ალანიაში" ესპანური „სოსიედადიდან" განათხოვრებული გიორგი დემეტრაძე თავის კლუბს დაუბრუნდა, თუმცა მისი მომავალი გუნდი ჯერაც უცნობია. გაურკვეველია გიორგი იმედაძის ბედიც. ქუთაისელ თავდამსხმელს დღესაც რამდენიმე უცხოური კლუბის ვარიანტი აქვს, მათ შორის ერთ-ერთი „ალანიაა".

სამაგიეროდ, ოსებმა მიხეილ აშვეთიას ტრანსფერს მოჰფინეს ნათელი და ქართველი ფეხბურთელიც მომავალ სეზონში ისევ „ალანიაში" ითამაშებს. აქვე გეტყვით, რომ ვლადიკავკაზური კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კლუბს ძველი სახელი „სპარტაკ-ალანია" დაუბრუნოს. სწორედ ამ სახელით მოიპოვეს 1995 წელს ოსებმა რუსეთის ჩემპიონობა.

ახლა კი *მიხეილ აშვეთიას* მოვუსმინოთ, რომელსაც გუშინ გავესაუბრეთ:

— მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და ერთი წლით ისევ „ალანიაში" ვითამაშებ. დანიური „კოპენჰაგენი" თანახმაა, ვლადიკავკაზში იჯარის წესით გამანათხოვროს. ასე რომ, მომავალ სეზონს რუსულ პრემიერლიგაში გავატარებ. ოსებთან უკვე პირობებიც შევათანხმე და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ხვალ ვლადიკავკაზში ჩავალ და გუნდის მოსამზადებელ ეტაპს და მომავალ ჩემპიონატში დასახულ მიზნებს იქ გავიგებ.

ალბათ, ასეთივე ბედს გაიზიარებს ლატვიური „სკონტოს" ქართველი ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი**. „სკონტოს" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ბალტიისპირეთში სწორედ რევაზ ძოძუაშვილის ძალისხმევით მოხვდა. ვლადიკავკაზის „ალანიას" ახლანდელი თავკაცი საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის დროსაც არ აკლებდა მას ყურადღებას. ზუსტად იმ პერიოდში მოიკიდა ფეხი ეროვნულ გუნდში ზურაბ მენთეშაშვილმა.

პოდა, რა გასაკვირია, თუ რევაზ ძოძუაშვილმა შეგირდი ახლაც გაიხსენა და მის გადაბირებას ეშურება. საწინააღმდეგო არც თავად მენთეშაშვილს ჰქონია. სწორედ ეს გვითხრა მან გუშინ, როცა ლატვიაში შევეხმიანეთ:

— „ალანიაში" თამაშის პერსპექტივა ძალიან მხიბლავს. დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი რუსეთის ჩემპიონატში. რა თქმა უნდა, ასეთ სურვილს რევაზ ძოძუაშვილის ფაქტორიც აძლიერებს. თუმცა ეს საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. „სკონტო" თანახმაა, გამყიდოს, მაგრამ მთავარია, კლუბებმა სატრანსფერო თანხაზე შეთანხმებას მიაღწიონ. ახლა სწორედ ამაზე მიდის მოლაპარაკება და, იმედი მაქვს, ერთ კვირაში ყველაფერი გაირკვევა.

**ბაჩა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია



ზურაბ მენთეშაშვილი (№15) ალბათ ალანიელი გახდება

# ალექსანდრ შტელინი: ჩემპიონობას შეტევით დავიცავთ



*ნახევარი წელიწადია, რაც ქვეყნის სამგზის ჩემპიონ „ტორპედოს" ახლახან გაბელგიელებული უკრაინელი სპეციალისტი წვრთნის. ალექსანდრ შტელინის ხელმძღვანელობით ქუთაისურმა გუნდმა მე-14 ეროვნულის პირველი ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულა.*

*სხვათა შორის, ბევრს და, მათ შორის, ქუთაისშიც, მიაჩნია, რომ „ტორპედოს" მეოთხედ გაჩემპიონება მეტად გაუჭირდება. აქეთ ხორვატი ივო შუშაკის „დინამო" ალესილა — ძველი დიდების დაბრუნებას ლამობს, იქეთ გაგერმანელებული პერუელი ბერძენის ლუის ცაკარიასის „ლოკომოტივიც" ოქროს უმიზნებს, სამეულის ჩრდილში ყოფნას არც იტალიელი ჯანი კარნევალის „ვიტ ჯორჯია" აპირებს.*

*ჰოდა, მით უკეთესი, აცხადებს ალექსანდრ შტელინი — გამძაფრებული კონკურენცია მეტ ინტერესს შესძენს ჩემპიონატს, „ტორპედოს" არაფრის ეშინია, გუნდს სჯერა საკუთარი ძალის და არსებული პრობლემების მიუხედავად, ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებსო.*

*მაინც, რას ფიქრობს ალექსანდრ შტელინი „ტორპედოზე" ნახევარი წლის გადასახედიდან, რისი გაკეთება მოასწრო და რა ვერ დასცალდა, რა აზრისაა მთავარ კონკურენტებზე? ამას და სხვას ქვემორე ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც ტორპედოელთა დამრიგებელს ბელგიაში გამგზავრების წინ ჩამოვართვით*

## ტორპედოს მწვრთნელი ახალ წელს ამერიკაში ქუთაისურად შეხვდება

— **ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდის თამაშით კმაყოფილი ხართ?**

— ამ შეკითხვაზე პასუხს ორ ნაწილად გავყოფდი. ჯერ იმას მოგახსენებთ, რისი გაკეთება შევძელით და მერე იმას, რაც ვერ მოვახერხეთ.

დავიწყოთ პირველით. მოსამზადებელ პერიოდში რიგი ორგანიზაციული საკითხების მოუგვარებლობის მიუხედავად, ვფიქრობ, პირველ ეტაპზე კარგად ვითამაშეთ — მეორე ადგილი ურიგო შედეგი არ გახლავთ, თან მთავარი ბრძოლები გაზაფხულზე გველის. ძალიან წაგვადგა შეკრება, რომელიც ბაკურიანში გავიარეთ.

გარკვეულწილად მოვახერხეთ თამაშის გარდაქმნა. მოგეხსენებათ, ადრე გუნდი დაცვიდან თამაშობდა, ჩვენ კი შემტევი სტილი ავირჩიეთ და არც გადავუხვევთ ამ გზიდან. ჩვენი პრინციპი ასეთია, რაც შეიძლება მეტის გატანა, მეტოქისთვის ბურთის ართმევა მისსავე ნახევარზე, მთელი თამაში მოძრაობაში, ოღონდ არ იფიქროთ, თითქოს დაცვას ნაკლებ ყურადღებას ვანიჭებდეთ. ყველაფრის დაბალანსებაა საჭირო. შეიძლება ითქვას, ამ მიმართულებით წინ წავიწიეთ, დადებითი მომენტები აშკარად შეინიშნება, მაგრამ თამაშის სრულყოფისთვის ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

რაში მოვიკოჭლეთ? უპირველესად, საგოლე მომენტების გამოყენებაში, რის გამოც ბევრი ქულა დავკარგეთ — პირველ წრეში ბათუმში, მეორე წრეში „მერანთან", ჩვენზე გაცილებით სუსტ მეტოქეებთან. ქუთაისში „დინამოსთან" დაუმსახურებლად დავმარცხდით. ერთი სიტყვით, სტაბილურობა გვაკლდა და ამის მიზეზსაც ვხვდები. უწინ გუნდის თამაშს ცალკეული ფეხბურთელების იმპროვიზაცია განსაზღვრავდა, ჩემი კონცეფცია კი მტკიცე ტაქტიკურ სქემებს ეყრდნობა. მართალია, არც იმპროვიზაციას გამორიცხავს, თუკი ის არჩეული ტაქტიკის ჩარჩოებში ეტევა. ზედმეტი მოედანზე არაფერი ვარგა. გასამარჯვებლად მთელი გუნდი უნდა იბრძოდეს. ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ დიდი კლუბების მსგავსად დიდი ფეხბურთელები მოვიწვიოთ და მათი უნარ-თვისებებიდან გამომდინარე ავაწყოთ თამაში, ჩვენ იძულებულნი ვართ, ყველა მოთამაშეს საკუთარი დავალება მივცეთ, ერთის თამაში მეორეს დავუქვემდებაროთ. ეს ძალიან შრომატევადი პროცესია, დიდ დროს მოითხოვს.

— **ქუთაისში „დინამოსთან" მარცხის შემდეგ „ტორპედოზე" ცუდი არავის დასცდენია...**

— იმ მატჩში სამი ქულა დავკარგეთ. საცოდაობა იყო. 27 სახიფათო შეტევა განვახორციელეთ. ერთი პატარა, ძალიან გთხოვთ, ასე დაწეროთ, პატარა გოლი მაინც უნდა შეგვექმნა, მაგრამ საშინლად არ გვიმართლებდა. ჩვენმა გულშემატკივრებმა იგრძნეს ეს და მარცხი გვაპატიეს.

ბოლო მატჩზეც მინდა ვთქვა. მართალია, აუტსაიდერს, „გორდას" ვხვდებოდით, მაგრამ დაინახავდით, „ტორპედომ" თამაში დაიჭირა, გუნდი საოცრად ხალისიანად, სწრაფად, მონდომებით, ალმაფრენით იმარჯვებდა. აი, ასეთ თამაშს ელის ჩვენგან ქომაგი. მე ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა „ტორპედოს" მომავლის.

— **არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ზეაქვსეულის გუნდებიდან ჩემპიონობისთვის ოთხსლა შეუძლია ბრძოლა. რას იტყვით „ტორპედოს" კონკურენტებზე?**

— ამ გუნდების შესაძლებლობებზე მე მხოლოდ ჩვენთან გამართული შეხვედრებით შემიძლია ვიმსჯელო. ქუთაისურ მატჩში „დინამოსთან" სრულ უპირატესობას ვფლობდით, მეორე წრეში თბილისში თამაში თანაბარი გახლდათ, შესვენებამდე მეტოქე გვჯობდა კიდეც მოედნის ცენტრში ორგანიზებული მოქმედებებით. თუმცა ერთიცაა, დინამოელებს ბოლოსკენ ჩვენზე მეტად დაეტყოთ დაღლა.

პირველ წრეში „ლოკომოტივმაც" მოგვიგო. „ტორპედომ" რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, მეტოქემ კი ჩვენი დაცვის შეცდომებით ისარგებლა. მეორე შეხვედრაში რკინიგზელებმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს, მათ მწვრთნელის ხელი დაეტყოთ. ტაქტიკურად გამართულად ირჯებოდნენ, სწრაფი, გააზრებული მანევრებით ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს.

დარწმუნებული ვარ, საგაზაფხულოდ „დინამო" და „ლოკომოტივი" უფრო მოლონიერდებიან, „ვიტ ჯორჯიას" თამაშის შეფასება კი მიჭირს. ეს გუნდი ქუთაისშიც დავამარცხეთ და სტუმრადაც პირწმინდად დავჯაბნეთ, თუმც გასათვალისწინებელია, რომ ჯანი კარნევალის გუნდმა „დინამოს" აჯობა და, ალბათ, მეორე ეტაპისთვის უკეთესად მოემზადება.

—**ბევრი ფიქრობს, რომ „ტორპედოს" ტიტულის შენარჩუნება გაუჭირდება, ჩემპიონობას „დინამოს" უწინასწარმეტყველებენ.**

— ამას მომავალი გვიჩვენებს. გამძაფრებული კონკურენცია მეტ ინტერესს შესძენს ჩემპიონატს, „ტორპედოს" სჯერა საკუთარი ძალის და არსებული პრობლემების მიუხედავად, ტიტულის შესანარჩუნებლად იბრძოლებს.

— **პირველ ეტაპზე უკეთესი შედეგის მიღწევაში „ტორპედოს" ცალკეული ფეხბურთელების ტრავმებმაც შეუშალეს ხელი?**

— ტრავმის გამო, ფაქტობრივად, არ უთამაშია ვალტერ გუჩუას. ცოტა ხნის წინ მან ეს ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ახლა ჰეპატიტი შეეყარა და, სულ მცირე, სამი თვე კიდევ გაუცდება. დიდ იმედებს ვამყარებდით ზირაქიშვილზე, რომელიც იჯარით მოვიყვანეთ „დინამოდან", ზაზა რამდენიმე მატჩში დაგვეხმარა, მერე კი საოპერაციო შეიქნა. ახლა თავდამსხმელი აღდგენით მკურნალობას გადის. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს ზირაქიშვილს იჯარის ვადა გავუგრძელოთ და მერე „დინამოდან" მის გამოსყიდვაზეც ვიფიქრებთ. ტრავმის გამო ბევრი თამაში გამოტოვა ზვიად ქუთათელაძემ, კარგია რომ მან ახლა ფეხი მოირჩინა.

— **„ტორპედო" ჩვენში შეძლებულ კლუბად ითვლება, თუმც იმასაც ამბობენ, გუნდი შეფერხებებით ფინანსდებაო?**

— ერთ მაგალითს მოვიყვან: ინგლისურ „ლიდს" 140 მილიონი დოლარი აწევს ვალად, მაგრამ არ კვდება, თამაშობს. „ტორპედოს", მართალია, პოზიტივი არ აქვს, მაგრამ არც ვალი აწუხებს. კლუბი ფეხბურთელებს შრომას უნაზღაურებს. სხვა ამბავია, რომ ფეხბურთელების შესაძენად არ გვყოფნის ფული. მაგრამ, ალბათ, ესეც დროებითია. მანამდე კი გამოსავალი უნდა ვეძებოთ. და ამ გამოსავალს მე ადგილობრივ კადრებში, ახალგაზრდებში ვხედავ. „ტორპედოში" ნიჭიერი [illegible] მოდის. გამეზარდაშვილს და ჩხეტიანს ხშირად ვათამაშებდი, [illegible] ლალაძე, ონიანი, [illegible] წელიწადში ეს ბიჭები თავიანთ სიტყვას იტყვიან.

— **გამოდის, „ტორპედო" საშუასეზონო პერიოდში არავის შეიმატებს?**

— მე დიდხანს ვმუშაობდი უკრაინაში, შემიძლია იქიდან ფეხბურთელების ჩამოყვანა. სხვა უცხოელი მოთამაშეებიც გვყავს შეგულებული, მაგრამ საამისოდ ფულია საჭირო, ჩვენ კი ჯერჯერობით ასეთი ტრანსფერებისთვის თანხები არ გვყოფნის.

— **არც ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებიდან აპირებთ ვინმეს მოწვევას?**

— ჩემპიონატის მსვლელობისას ჩვენ ვაკვირდებოდით რამდენიმე მოთამაშეს და არ არის გამორიცხული, რომელიმე გადმოვიბიროთ. მე დავავალე ჩემს თანაშემწე სოსო ფრუიძეს, რათა აწარმოოს მოლაპარაკება ამ მოთამაშეებთან, ასე რომ, ვნახოთ.

— **ხომ ვერ გვეტყვით, ვინ მოგაწონათ თავი?**

— ჯერ ვერ გაგიმხელთ. ეს არაკორექტულიც იქნება თავად ფეხბურთელების და იმ გუნდების მიმართაც, სადაც ისინი ირიცხებიან.

— **„ტორპედო" ფეხბურთელების გასხვისებას თუ აპირებს, ვიცით, რომ მალხაზ ასათიანს კარგა ხანია „დინამოსკენ" უჭირავს თვალი?**

— მწვრთნელებს უნდა გაგვიგოთ. სანამ საქმე საქმეზე არ მიდგება, ძნელია რაიმეს თქმა. მართალია, ასათიანს „დინამოში" გადასვლა სურს და „დინამოც" დაინტერესებულია მისით, მაგრამ ტრანსფერი ხომ კლუბებს შორის მოლაპარაკების შედეგად უნდა განხორციელდეს. თუ კი კლუბები შეთანხმდებიან, ასათიანი დინამოელი გახდება. ჩვენ გუნდში დარჩენაზე ძალას არავის დავატანთ.

— **ამასწინანდელ „ტორპედო" — „ლოკომოტივს" უკრაინული „ტავრიას" მთავარი მწვრთნელი ანატოლი ზაიაევი ესწრებოდა, ხომ ვერ გვეტყვით, რა აინტერესებდა?**

— ცხადია, ზაიაევი ქუთაისში შემთხვევით არ ჩამოსულა. იგი „ტავრიასთვის" სასურველ ფეხბურთელებს ეძებს და ტორპედოელები შეათვალიერა.

— **თუ ესაუბრეთ კოლეგას?**

— ზაიაევს დიდი ხანია ვიცნობ, მასთან სატელეფონო საუბარი მქონდა. იგი რამდენიმე ტორპედოელით დაინტერესდა. ასათიანი, იონანიძე, გამეზარდაშვილი და, საერთოდ, „ტორპედო" მოეწონა.

— **ჩვენი ინფორმაციით, ზაიაევი ზურაბ იონანიძის თამაშის სანახავად იყო ქუთაისში.**

— იონანიძე „ტავრიასთვის" გასამეტებელი, მუქთად ხელში ჩასაგდები ფეხბურთელი არ არის, „ტორპედო" მას ჯერ ვერ შეელევა. ეს არა მარტო ჩემი, კლუბის ხელმძღვანელობის პოზიციაა.

— **ჩემპიონატში შესვენებაა. „ტორპედო" მეორე ეტაპისთვის მზადებას როდის შეუდგება?**

— გეგმები ცოტა შეიცვალა. 4 იანვარს შევიკრიბებით. ბაკურიანში გამგზავრებას ვაპირებდით, მაგრამ ვარჯიშს ქუთაისში დავიწყებთ, მერე კი მოსკოვში „თანამეგობრობის თასზე" მოგვიწევს თამაში, თუმც მანამდე, ძველით ახალ წელს, თბილისში „ლოკომოტივთან" ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი. მოსკოვიდან თურქეთში გავემგზავრებით, ორკვირიან შეკრებას გავივლით ანთალიაში.

— **საშვებულებოდ ორიოდ კვირა დაგრჩათ. სად გაატარებთ მას?**

— ჯერ ბელგიაში ჩავალ, იქიდან კი მეუღლესთან ერთად აშშ-ი და კანადაში, იქ ბევრი ნათესავი გვყავს და მათ მოვინახულებთ. სხვათა შორის, ეს ვიზიტი ჩემს „ტორპედოში" მოსვლამდე გვქონდა დაგეგმილი. ქუთაისში 2 იანვარს ჩამოვალ.



„დინამოსთან" თბილისური მატჩიდან შტელინის „ტორპედომ" ქუთაისში ქულა წაიღო

**იუზა ქაციტაძე** *ქუთაისიდან*

REUTERS



მანჩესტერ იუნაიტედი — ჩელსი. დიეგო ფორლანმა კარლო კუდიჩინის ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა

# გადასარევი დასასრული

## ეს იყო 8 წლის წინ

### ინგლისი

**ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

**მანჩესტერ იუნ. 1:0 ჩელსი**
1:0 ფორლანი (80)

**შეფილდ იუნ. 3:1 კრ. პალასი**
1:0 ასაბა (35), 1:1 პეიჯი (82ს.კ.), 2:1, 3:1 პეშისოლიდო (86, 88)

**უიგანი 0:2 ბლეკბერნი**
0:1, 0:2 ენდი კოული (16, 80)

**ურუგვაელი** დიეგო ფორლანის სეზონში მე-7 გოლი „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა „ჩელსისთან" ლიგის თასის მეოთხედფინალში. ოლდტრეფორდელებს 1994 წლის შემდეგ ამ შეჯიბრის ნახევარფინალში ვერ გაუღწევიათ და როგორც იქნა, ნავსი გატეხეს. მაშინ კი, რვა წლის წინ, „მანჩესტერმა" ფინალში „ასტონ ვილასთან" წააგო.

ტრავმამოშუშებული დევიდ ბექჰემი, რომლის მინდორზე გამოჩენასაც ტრიბუნები ოვაციით შეხვდნენ, მე-80 წუთზე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში ჩვეულებისამებრ ღირებულად ჩააწოდა, ბურთს ფორლანმა ფეხი შეაგება და სტუმართა მეკარე კარლო კუდიჩინის ფეხებს შუა გაუტანა.

8 წუთის შემდეგაც შეეძლო ურუგვაელს ბექჰემისავე ჩაწოდების მერე დუბლი გაეხერხებინა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. სულ ბოლო წუთზე კი ბუდევინ ზენდენს ანგარიშის გაქვითვა შეეძლო, როცა 25 მეტრიდან უძლიერესად გაისროლა, თუმც ფაბიენ ბარტეზმა ბრწყინვალე ნახტომით ანგარიში უცვლელი დატოვა.

პირველ ნახევარში კი სქოულზმა ორჯერ გაანიავა რეალური შანსი, ხოლო რაიან გიგზის დარტყმული მარიო მელხიოტმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

ამრიგად „მანჩესტერმა" ბოლო რვა მატჩიდან რვავე მოიგო რაგინდარა ტურნირებში.

„ბლეკბერნ როვერსი" ჯიუტად მიიწევს თასის ზედიზედ მეორედ მოგებისთვის. პრემიერლიგელების დაფრენაში დახელოვნებულ „უიგანის" ნავარდის შეჩერება „ბლეკბერნმა" ითავა, უფრო ზუსტად კი მისმა მეგოლე ენდი კოულმა, რომელმაც მასპინძლებს მე-16 და მე-80 წუთებზე ორი გოლი გამოუწერა.

თუმც აღსანიშნავია, რომ სტუმართა მეკარემ ბრედ ფრიდელმა ნაილ რობერტსის და გერი ტეილორის საკმაოდ სახიფათო დარტყმები მოიგერია. ხოლო ჭარბი ემოციურობისთვის ბლეკბერნელთა მენეჯერი გრემ სუნესი ტრიბუნაზე ააბრძანეს.

ნახევარფინალს უწია პირველდივიზიონელმა „შეფილდ იუნაიტედმა", რომელმაც მშობლიურ „ბრამალ ლეინზე" თანალიგელი „კრისტალ პალასი" დაამარცხა. შეხვედრა მართლაც რომ დახუნძლული იყო სახიფათო მომენტებით. ხოლო თამაშის ფინალი სულ მთლად გადასარევი გამოდგა.

პირველ ტაიმში შეფილდელმა კარლ ასაბამ ანგარიში გახსნა და მიუხედავად აურაცხელი საგოლე მომენტებისა, 82-ე წუთამდე ბურთი ჯიუტად არ შედიოდა კარში. ამ წუთზე კი რობერტ პეიჯმა საკუთარი კარი დალაშქრა და ტაბლოზეც 1:1 აკიაფდა. თუმც კანადელმა პოლ პეშისოლიდომ დარჩენილ წუთებში ნერვიულობისგან გაწამებული ქომაგები მაინც გაახარა.

**ზურაბ რუხაძე**

**ასოციაციის თასი**
**1/32 ფინალის წილისყრა**

*4 იანვარი, 2003:* არსენალი — ოქსფორდი; ასტონ ვილა — ბლეკბერნი; ბლეკპული — კრისტალ პალასი; ბოლტონი — სანდერლენდი; ბორნმუთი — ქრიუ; ბრენტფორდი — დერბი ქაუნთი; კემბრიჯი — მილუოლი; კარდიფი — ქოვენტრი; ჩარლტონი — ექსეტერი; ჩელსი — მიდლსბრო; დარლინგტონი — ფარნბორო; ფულემი — ბირმინგემი; გრიმსბი — ბარნსლი; ლესტერი — ბრისტოლი; სკანთორპი ან კარლაილი — ლიდსი; ჯილინგემი — შეფილდ უენსდი; იფსვიჩი — მორეკემბი; ნორვიჩი — ბრაიტონი; მაკლსფილდი — უოტფორდი; მანჩესტერ იუნაიტედი — პორტსმუთი; პლიმუთი — დაგენემი; პრესტონი — როჩდეილი; როტერჰემი — უიმბლდონი; შეფილდ იუნაიტედი — ჩელტენემი; შრიუსბერი — ევერტონი; საუთჰემპტონი — ტოტენჰემი; სტოკი — უიგანი; უოლსოლი — რედინგი; ვესტ ბრომვიჩი — ბრედფორდი; ვესტ ჰემი — ნოტინგემი

*5 იანვარი, 2003:* მანჩესტერ სიტი — ლივერპული; ვულვერჰემპტონი — ნიუკასლი

# ნაცოდვილარი გამარჯვება

### იტალია

**თასის 1/8 ფინალი**
**საპასუხო მატჩი**

**რომა 1:1 დდ(პენ.4:1, 1:1) ტრიესტინა (1:1)**
1:0 მაიეტა (34ს.კ.), 1:1 ფავა (72)
გაძევება: ბუდელი (87, ტრიესტინა)

**ამ სეზონში** დაბეჩავებული „რომა" სერია A-ს ცხრილის შუაში გაჩხერილა და ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეც უსუსურთაგანია. ახლაც, იტალიის თასზე, სერია B-ს „ტრიესტინა" ჰყავდა მეტოქედ, მაგრამ იმ „რომას" რა უთხრას თავისმა ქომაგმა, „ტრიესტინასთან" რომ დიდი გაჭირვებით მიაღწევს გამარჯვებას.

34-ე წუთზე ბრაზილიელი ლიმას ფლანგურ ჩაწოდებას მცველმა დომენიკო მაიეტამ საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი. აქედან მოყოლებული, სერია A-ში ამოსაბრძანებლად მებრძოლი სტუმრები უფრო აქტიურობდნენ და 72-ე წუზე დინო ფავას თავურით საწადელსაც მიაღწიეს.

დარჩენილ დროში დედაქალაქელები თითქოს ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ მთავარი ყოჩის, ფრანჩესკო ტოტის არყოფნაში (ტრავმირებულია) დამატებით დრომდე მიიყვანეს საქმე სადაც კაცნაკლული ქვედალიგელები — რომელთაც 87-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათისთვის ალესანდრო ბუდელი გაუძევეს — მედგრად იცავდნენ საკუთარ კარს. პენალტების სერიაში კი ივან პელიცოლიმ ფრანსისკო ბეგას და მირკო გუბელინის თერთმეტმეტრიანები აუღო, რამაც „რომას" ნაცოდვილარი გამარჯვება მოუტანა.



ივან პელიცოლიმ „რომა" სირცხვილისგან იხსნა

**ზურაბ რუხაძე**

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## უკატრავად, თქვენი სახელი?

### გადაზრდილ ერიბერტოს აფიორა აპატიეს

**იტალიის** ოლიმპიურმა კომიტეტმა „კიევოს" ბრაზილიელი ნახევარმცველი, ერიბერტოდ წოდებული ლუსიანუს საქმის საბოლოო განხილვა დაასრულა.

ამ საქმის თაობაზე ადრეც ვწერდით. შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში ბრაზილიელი ყალბი პასპორტის ქონაში ამხილეს და ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი გადაწყვეტილებით, ამ სეზონის ბოლომდე იყო მოკვეთილი.

ახლა კი ასეა — ბრაზილიელმა ოლიმპიური კომიტეტს პატიება სთხოვა, კომიტეტის გადაწყვეტილებით კი იგი თავის კლუბს უკვე მომავალი წლის 25 იანვრიდან დაეხმარება.

აფიორა ბრაზილიაში დაიწყო, როდესაც 1996 წელს „პალმეირასში" პასპორტით 16 წლის ერიბერტო გამოჩნდა. სინამდვილეში კი ის 20 წლის იყო და დედამაც ლუსიანუ დაარქვა.

„პალმეირასიდან" ცრუ ერიბერტო „ბოლონიაში" გადავიდა, იქიდან კი იმედისმომცემი „ჭაბუკი" 1998 წელს აზლანდელ კლუბ „კიევოს" შეუერთდა.

„როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება მოვისმინე, ცრემლი ვერ შევიკავე — ეუბნებოდა სიხარულისგან ატირებული ლუსიანუ ჟურნალისტებს — იანვრიდან ისევ ვითამაშებ ფეხბურთს, თანაც მაისურაზე უკვე ჩემი ნამდვილი სახელი მეწერება, შეიძლება ითქვას, რომ მე მეორედ დავიბადე."

აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ლუსიანუ-ერიბერტოს ფიფასგანაც ჰქონდა გამოწერილი დისკვალიფიკაცია, მაგრამ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის კვალად, სასჯელს მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანოც გააუქმებს.



ლუსიანუ ერიბერტოობისას

**სერგი ძორიძე**

### ჰოლანდია

**I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

**ნაიმეგენი 3:0 როზენდალი**
1:0, 2:0 მერსი (57, 66), 3:0 ზონეველდი (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 16 | 12 | 3 | 1 | 41:10 | 39 |
| აიაქსი | 16 | 11 | 4 | 1 | 42:18 | 37 |
| ფეიენოორდი | 16 | 10 | 2 | 4 | 39:19 | 32 |
| ბრედა | 15 | 6 | 7 | 2 | 21:11 | 25 |
| უტრეხტი | 16 | 6 | 6 | 4 | 23:20 | 24 |
| ვალვაიკი | 16 | 7 | 3 | 6 | 19:23 | 24 |
| როდა | 16 | 6 | 5 | 5 | 29:26 | 23 |
| ტილბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:23 | 22 |
| ნაიმეგენი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:26 | 22 |
| ალკმაარი | 16 | 6 | 2 | 8 | 27:40 | 20 |
| ტვენტე | 16 | 4 | 7 | 5 | 18:24 | 19 |
| ჰერენვენი | 16 | 4 | 5 | 7 | 22:29 | 17 |
| ვიტესი | 15 | 4 | 4 | 7 | 16:17 | 16 |
| როზენდალი | 16 | 4 | 4 | 8 | 20:26 | 16 |
| ექსელსიორი | 16 | 3 | 7 | 6 | 19:27 | 16 |
| გრონინგენი | 16 | 3 | 4 | 9 | 16:27 | 13 |
| ზვოლე | 15 | 3 | 4 | 8 | 14:25 | 13 |
| გრააფსხაპი | 15 | 2 | 3 | 10 | 14:36 | 9 |

საქართველოში პირველი
სპეციალიზებული სალონი-მაღაზია
ბილიარდის სახლი
რუსული პირამიდა, პული, სნუკერი
აქსესუარები Zeus ზევსი
- ქიუ 47GEL
- ბურთები 178GEL
- მაუდი 112GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- ქიის თარო 24GEL
- თაროები ბურთებისთვის 47GEL
- ჩანთები ქიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3GEL
900 GEL-დან
მასტერი Master
დახმარება საბილიარდოს გახსნისას. კონსულტაცია, გარანტია, ფასდაკლება
ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)
11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

# ყველანი დაცვაში

## კატალონიამ თავების თვლა დაიწყო

**პრიმერადივიზიონის** წინა ტურში საშინაო სირცხვილის შემდეგ კატალონიელთა სათაყვანო „ბარსელონა" ვაი, რომ მე-13 ადგილზე დაეშვა. კლუბის ოფისთან მოჯარულმა გაავებულმა ფანებმა პრეზიდენტ ხუან გასპარისა და ლუის ვან გაალის თავები მოითხოვეს.

პირველი „თავი" კი უკვე გაგორდა, იგი „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტ გაბრიელ მასფეროლის ეკუთვნის, რომელმაც გადადგომის შესახებ გააკეთა განცხადება. ოღონდ აღვნიშნოთ: მის წასვლაში ქომაგთა ხელი არ ურევია.

„მე თანამდებობაზე დარჩენა აღარ შემეძლო, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა და მე სხვადასხვაგვარად ვხედავთ „ბარსელონას" მომავალს" — განაცხადა აწ უკვე ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა.

მასფეროლი თავის დროზე გასპარის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო, ახლა კი მისი პრეზიდენტობის პერიოდში მეოთხე გადამდგარი ვიცე-პრეზიდენტი გახდა.

ცუდ დღეშია კლუბში მეორედ მისული ლუის ვან გაალიც. გარდა იმისა, რომ ბოლო ხანებში „კამპ ნოუზე" მას სულ უფრო და უფრო ხშირად იხსენიებენ აუგად, ჰოლანდიელს თავს ტრავმების ეპიდემიაც დაატყდა. „სევილიასთან" ავადმოსაგონარ მატჩში კატალონიელთა 20 წლის მარცხენა მცველი ფერნანდო ნავარო დაშავდა და კლუბს სეზონის ბოლომდე დააკლდება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ტრავმირებულები არიან მიხაელ რაიციგერი, პატრიკ ანდერსონი და კარლეს პუიოლი. ასე რომ, ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხში დამარცხებულ ვან გაალს მომდევნო ტურში, „მალიორკასთან" სათამაშოდ ორი ნომინალური მცველი — ფრანკ დე ბური და ფილიპ კრისტენვალიდა დარჩა.



ხუან რიკელმემ და ხერარდ ლოპესმა ფერნანდო ნავარო სეზონის ბოლომდე გაისტუმრეს

დაშავებულთაგან გამოჯანმრთელებასთან ყველაზე ახლოს შვედი პატრიკ ანდერსონი დგას. ვან გაალს კი ისედაც სუსტი დაცვის გაძლიერება ნახევარმცველების უკან დაწევით მოუწევს.

**სერგი ძორიძე**



„ბოკა ხუნიორსი" მარსელო დელგადოს (მარჯვნივ) იაპონიაში ისტუმრებს

# იყიდეთ გენიოსები

## ბოკა და რივერი შესვენებისას

**დასრულდა** არგენტინის აპერტურა და სანამ კლაუსურა დაიწყება, დიდი და პატარა არგენტინული კლუბები თავის გადასარჩენ ვაჭრობას იწყებენ.

არგენტინულ კლუბებს ფული არ აქვთ, მაგრამ ჰყავთ უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელთა გაყიდვაც კრიზისული ეკონომიკის ქვეყანაში თავის გადარჩენის საშუალებას იძლევა.

დიადი კლუბები, „ბოკა ხუნიორსი" და „რივერ პლეიტი" ამ საქმეშიც მოწინავენი არიან, რადგან ფული მათაც სჭირდებათ.

„რივერი", რომლის საფეხბურთო სკოლაც ტალანტების ნამდვილი სამჭედლოა, თავის საგანძურს ელევა: მცველ მარტინ დემიშელისისა და გარემარბ ანდრეს დალესანდროს ყიდის.

მიუნხენის „ბაიერნი" უკვე შეუთანხმდა „რივერს" 21 წლის დემიშელისის თაობაზე და ოთხწლიანი კონტრაქტიც გააშზადა. ბიჭი იანვრიდან მიუნხენში იქნება. დალესანდრო კი ცოტასაც მოიცდის და ევროპული სეზონის ბოლოს „ბარსელონას" სამოსს მოირგებს, სადაც უკვე დაუხვდებიან თანამემამულენი რობერტო ბონანო, ხავიერ სავიოლა და რომან რიკელმე.

ამათ სანაცვლოდ „რივერი" ურუგვაელი ალეხანდრო ლემბოს მიყვანას აპირებს. კამერუნელი თავდამსხმელი პიერ ვებო, რომელიც ლემბოს მხარდამხარ თამაშობს მონტევიდეოს „ნასიონალში" ასევე „რივერისკენ" მიეშურება. ასევე ლაპარაკია, რომ „ნაპოლიდან" გადაიყვანენ კლაუდიო უსაინს, „ველეს სარსფილდიდან" კი მის ძმას დარიოს.

„ბოკა" იაპონიაში, „იოკოჰამაში" ამგზავრებს თავდამსხმელ მარსელო დელგადოს. უცნობი ჩინეთისკენ კი მცველი გუსტავო პინტო, ნახევარმცველი რაულ კაშინი და თავდამსხმელი ექტორ ბრაკამონ ბრაკამონტე მიეშურებიან. არავინ იცის, დარჩება თუ არა ბოკელთა სათავეში მწვრთნელი ოსკარ ტაბარესი. ამბობენ, რომ კლუბს კარლოს ბიანკის დაბრუნება სწადია, რომელმაც ორჯერ მოაგებინა გუნდს ლიბერტადორესის თასი.

კლაუსურას ჩემპიონ „ინდეპენდიენტეს" ვიცე-პრეზიდენტი ფერნანდო შაკალუგა აცხადებს, რომ ერთი ფეხბურთელი მაინც უნდა გაყიდოს კლუბის ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად. სამაგიეროდ, ჩემპიონთა მწვრთნელმა ამერიკო გალიეგომ თქვა რომ იმწამსვე გადადგება, როგორც კი მთავარმეგოლე ანდრეს სილვერას, ანდა მცველ გაბრიელ მელიტოს გაუყიდიან.

**ონორიო ბუსტოს დომეკი**



მარტინ დემიშელისი უკვე ბაიერნელია

# ჰალსტუხიანო უმადურებო!

## თქვენ სკამს ხეხავთ, ჩვენ ერთმანეთს გვაჟლეტინებთ

**ფიფას** გუშინწინდელმა გადაწყვეტილებამ მთელი სამხრეთ ამერიკაააკვნესა. შეგახსენებთ, რომ სამხრეთელებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელი ნახევარი ადგილი წაართვეს.

ეს ნიშნავს, რომ შესარჩევი ჯგუფიდან პირველი ოთხეული გერმანიაში გაემგზავრება, მეხუთეს კი ოკეანეთის წარმომადგენელთან მუნდიალის საგზურისთვის ბრძოლა აღარ მოუწევს. ანუ, მეხუთეს შინ დარჩენა და ყავის სმა ელის, ხოლო ოკეანეთის გამარჯვებული პირდაპირ, სტვენა-სტვენით გასწევს გერმანიისკენ.

გეხსომებათ, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის 32-ე საგზური ურუგვაი — ავსტრალიამ გაითამაშეს, რომელშიც ურუგვაიმ იმარჯვა.

სამხრეთ ამერიკა გაცოფებულია. როგორი საქმეა: ექვს კონფედერაციაზე ორი გამოთავისუფლებული ადგილი უნდა გადანაწილებულიყო და მიუხედავად იმისა, რომ ორი ადგილი ზედმეტი იყო, სამხრეთელებმა კუთვნილიც დაკარგეს.

ევროპის წილი ნახევარი ადგილიც კონკაკაფს ერგო და აზიის მეხუთე გუნდი კონკაკაფის მეოთხეს საგერმანიოდ შეერკინება.

არადა, მსოფლიოს ჩვიდმეტი ჩემპიონატიდან ცხრაჯერ ჩემპიონები სამხრეთამერიკელები გახდნენ. ისინი ამ არგუმენტის გამოყენებას შეეცადნენ და ნახევარი ადგილის გამთელებისთვის იბრძოდნენ, სანაცვლოდ კი აი, რა მიიღეს.

დაჩაგრული კონტინენტის წარმომადგენელი, ასოციაციის პრეს-ატაშე ნესტორ ბენიტესი გულეშაპს ცეცხლის ფრქვევაში გაეჯიბრა: „განა ეს ნორმალური ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა? გვიშრომია, გვიწვალია, ცხრაჯერ მსოფლიოს თასი აღგვიმართავს და რა მივიღეთ ჰალსტუხიანი სკამისმხეხავებისგან? არაფერი! რაც გვქონდა, ისიც აგვაფცქვნეს, იმის ნაცვლად, რომ აქეთ დაემატებინათ. ვფიცავ, ფიფელებს ფეხბურთისა არაფერი ესმით. ჩვენთვის ამ ნახევარ ადგილს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად, ეს 70 პროცენტით გარანტირებული ადგილი იყო მუნდიალზე. ბოლო სამ პლეი ოფში სამხრეთ



ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რიკარდო ტეიშეირამ სამხრეთ ამერიკის კონფედერაციის პრეზიდენტ ნიკოლა ლეოსს ეგებ ანტიფიფური გეგმა ჩასჩურჩულა

ამერიკელებმა იმარჯვეს და მაინც გვჩაგრავენ. მოედანზე, ფეხბურთში რომ ვერ დაგვაჩოქეს, ცხრილიდან ამოგვშალეს, ეს არაკაცური საქციელია! მათთვის მთავარი გეოგრაფია ყოფილა და არა ხარისხი. ამიხსენით, განა აფრიკას და აზიას რა წვლილი შეუტანიათ ფეხბურთის განვითარებაში ისეთი, ჩვენზე წინ რომ დააყენეს? სამართლიანი თამაშის პრინციპები დაირღვა!"

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ეუხენიო ფიგუეროამ სამ სიტყვაში მოჭრა: „ფიფამ წიხლი დაგვაჭირა!", ხოლო ეკვადორის წარმომადგენელი პედრო მუნოსი აღუღდა: „რა უბედურებაა! ჩვენი 10 ქვეყნიდან სამი მსოფლიოს ჩემპიონია და ოთხ ადგილს გვამადლიან მაშინ, როცა კონკაკაფს, ბურთის გორებაში ჩვენთან ახლოსაც რომ ვერ მოვა, სამნახევარი ადგილი უბოძეს. ეს უნამუსობაა! წარმოიდგინეთ, სხვები ისეთ შესარჩევ ჯგუფებში თამაშობენ, 8:0-ს და 9:0-ს იგებენ და ღიღინით იჯიბავენ მუნდიალის საგზურს, ჩვენ კი ლამის ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტვა გვიწევს საგზურისთვის."

მოკლედ, დაჩაგრულების ამბავი ალბათ ასე უბრალოდ არ დასრულდება და გაგრძელება აუცილებლად იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერიქსონის აღსარება

**მოგეხსენებათ,** მსოფლიოს ალბათ, ყველა ქვეყნის ეროვნულ გუნდთა მწვრთნელებს გამუდმებით უჩნდებათ პრობლემები ფეხბურთელთა ნაკრებში გამოძახებასთან დაკავშირებით. წუწუნი და თავის არიდება განსაკუთრებით ამხანაგური შეხვედრების დროს იზრდება, რაკი არც ერთ კლუბს არ სურს ზედმეტი რისკის გაწევა და უმნიშვნელო თამაშის გამო ფეხბურთელის სამოგზაუროდ გაშვება დაღლილობა დაღლილობად და, ხომ შეიძლება, მოთამაშე სულაც ტრავმირებული დაბრუნდეს და მკურნალობის ხარჯები კი უმეტეს შემთხვევაში კლუბის გადასახდელია.

გაჩნდა აზრი, რომ ბოლო ხანებში მსოფლიოში საკლუბო ფეხბურთისადმი ინტერესის ზრდის ტენდენციამ სანაკრებო ფეხბურთი გვარიანად დაჩაგრა. ამ შეხედულებას ინგლისის ნაკრების შვედი დამრიგებელი სვენ გორან ერიკსონიც იზიარებს, რომელიც თავის მიზნებსა და პრობლემებზე გულახდილად ესუბრა იტალიური „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტს.

ერიკსონმა, რაკილა ნაკრების მწვრთნელია და არა კლუბისა, ზემოხსენებული ტენდენციის გამო შეშფოთება გამოთქვა და აღნიშნა, ეროვნულ გუნდთა მწვრთნელებს მრავალრიცხოვანი ტრავმებისა და კლუბებთან დაპირისპირების გამო სულ უფრო და უფრო გვიჭირს ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა და დასახული მიზნების მიღწევაო.

შეგახსენებთ, რომ თავად შვედ სპეციალისტს ასეთი პრობლემა „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჰქონდა დევიდ ბექჰემის მუნდიალზე წაყვანის გამო. თუმცა, მიუხედავად მსგავსი წინაღმდეგობებისა, ერიკსონი მაინცდამაინც არ წუწუნებს, ამბობს, ამ პოსტზე თავს კარგად ვგრძნობ და იმაში ხომ საერთოდ არ ეპარება ეჭვი, ინგლისის



სვენ გორან ერიკსონმა იტალია ნენსი დელ ოლიოს გამოც შეიყვარა

ნაკრების 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე გაყვანას რომ შეძლებს.

და რაზე სწყდება ერიკსონს გული? იმაზე, რომ წელიწადში სულ რაღაც ათი მატჩის გამართვა უწევს და ფეხბურთელებთან ყოველდღიურ ურთიერთობასაა მოკლებული.

— ისეთ რეჟიმში მუშაობა მომენატრა, „სამპდორიასა" და „ლაციოს" მწვრთნელობისას რომ მიწევდა. ფეხბურთელებთან მუდმივმა ურთიერთობამ მწვრთნელი შეიძლება დაღალოს, მაგრამ ამავე დროს ეს კარგი სტიმულატორია — თქვა შვედმა.

დასასრულს იტალიური ტკბილი მოგონებებით გულაჩუყებულმა ერიკსონმა ჟურნალისტს გაანდო, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტის დატოვებისთანავე ლონდონი რომის თვითმფრინავზე დაჯდება და იმ ქვეყანას დაუბრუნდება, რომელიც ღრმად ჩასჭრია გულში.

მოგეხსენებათ, შვედს იტალიისადმი უსაზღვრო სიყვარულის საკმაო მიზეზები აქვს — სწორედ იტალიურ „ლაციოსთან" ერთად მოპოვებული სკუდეტოთი გაიცნო იგი მსოფლიომ, როგორც ფრიად წარმატებული სპეციალისტი, ამასთან მას სახლიც აქვს რომში და მისი მეგობარი ნენსი დელ ოლიოც ხომ იტალიელია.

**ნინო ქადაგიშვილი**

# 17 მატჩით, კაცო?

## ანრის ბალაკი ურჩევნია

**ტიერი ანრი**, ვინაც „ფრანს ფუტბოლის“ წლევანდელ გამოკითხვაში მეექვსე ადგილი დაიკავა, ამბობს, რომ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიხაელ ბალაკს ეკუთვნოდა და არა რონალდოსო.

„არსენალის“ ფრანგი ფორვარდი მიიჩნევს, რომ მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიღწეული თუნდაც ფენომენალური შედეგის გამო „ოქროს ბურთის“ რონალდოსთვის მინიჭება არასწორია: „ეს პრიზი იმას უნდა გადაეცეს, ვინც დეკემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში გამოირჩენს თავს და არა ერთ ტურნირში. კი ბატონო, რონალდო მუნდიალზე მართლაც საუკეთესო იყო, მაგრამ დანარჩენ დროს, „ინტერსა“ და „რეალში“, მხოლოდ 17 მატჩი ითამაშა.“

„ჩემთვის რომ ეკითხათ — თქვა ანრიმ — პირველ ადგილზე უპირობოდ ბალაკს დავასახელებდი. მართალია, მან ვერც ჩემპიონთა ლიგა და ვერც მსოფლიოს თასი მოიგო, ორივე ტურნირში თავის გუნდებს ფინალში გაღწევაში დაეხმარა. ბალაკს წლეულს „ლევერკუზენისა“ და გერმანიის ნაკრებისთვის გადამწყვეტი გოლები აქვს გატანილი ორ მთავარ შეჯიბრზე და ბუნდესლიგაშიც. თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი გავიხსენოთ — მან ყვითელი ბარათი მიიღო, რამაც ფინალში მისი თამაში გამორიცხა. ბევრი სხვა ამ სიტუაციაში ხელებს ჩამოყრიდა. და რა ქნა ბალაკმა? იმ მატჩის ერთადერთი, გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გერმანია ფინალში გაიყვანა.“

გუშინწინდელი ინტერვიუს ბოლოს ტიერი ანრიმ მადლობა გადაუხადა მაიკლ ოუენსა და ალფრედო დი სტეფანოს — ამათ განაცხადეს, რომ მუნდიალზე ჩავარდნის მიუხედავად, 2002 წლის საუკეთესოობა სწორედ ანრის ეკუთვნოდა.

„ვერ ვიტყვი, რომ მათი ნათქვამი უფრო გამიხარდა, ვიდრე „ოქროს ბურთის“ ჩემთვის გადმოცემა მასიამოვნებდა, მაგრამ მართლაც ბედნიერი ვარ, როცა მსოფლიო ფეხბურთის ორი სხვადასხვა თაობის დიდებული მოთამაშე მაქებს“ — თქვა ბოლოს ანრიმ.

**გიგა ძოგახიძე**



მიხაელ ბალაკი კორეელთა მეკარეს გადაახტა და გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა

# ჰერ გერჰარდის ჰარდპასუხი

## დორტმუნდმა ბარსელონა გაისტუმრა

**საფეხბურთო** რეწვაში დიდი კვაჭი კაცია „დორტმუნდის“ პრეზიდენტი გერდ ნიბაუმი, მისი ფეხბურთელები კი დიად „ბარსელონას“ მოსდომებია.

თუმც ნიბაუმმა ამ საკითხს შორიდან მოუარა და ჯერ ამით დაიწყო: „ბაიერნი“ ექვსი ქულით რომ გვისწრებს, ეს ჯერ არაფერს ნიშნავს. წინა სეზონშიც ასე იყო, მაგრამ „ბაიერნსაც“ გავუსწარით და „ლევერკუზენსაც“. რატომ არ უნდა მოხდეს ეს კვლავ? იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპსაც გადაველახავთ. სულაც არ ვუფრთხით არც „მილანს“ და არც მადრიდის „რეალს“, ჩვენ ტოლ-სწორი გუნდები ვართ.“

ბოლოს კი ჰერ გერჰარდი „ბარსას“ ლტოლვასაც მისდგა — კატალონიელებს „დორტმუნდის“ ჩეხი პლეიმეიკერი ტომაშ როსიცკი და ბრაზილიელი ფორვარდი მარსიო ამოროზო სურთ — ესპანელებს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც უნდათ და შემოგვთავაზონ ის, რაც მოესურვებათ, მაგრამ მარსიო და ტომაში ჩვენი გეგმების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ — ბრძანა პრუსიელთა პრეზიდენტმა.

**დავით თავართქილაძე**



გერჰარდ ნიბაუმი

# რა სარგებლობა მოაქვს სასჯელს?

## ახალ წელს სახლში ხარ

**ლონდონის** „ტოტენჰემის“ 36 წლის თავდამსხმელი ლეს ფერდინანდი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი „ტოტენჰემისა“ და „არსენალის“ რეზერვისტების ორშაბათის მატჩია.

ალნიშნული თამაში „შეთოფეებმა“ 3:0 მოიგეს, ფერდინანდი კი, პირველ ტაიმში არსენალელ სტატის ტავლარიდისთან ძიძგილაობისთვის მოედნიდან მიაბრძანეს.

ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებით, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელის სასჯელის ვადის ათვლა 30 დეკემბრიდან დაიწყება.

ფერდინანდი ამ სეზონში „დეზების“ სასტარტო შემადგენლობაში 11-ჯერ გამოჩნდა და ერთი გოლი გაიტანა. ფერდინანდი სამ მატჩს გამოსატოვებს: 1 იანვარს „საუთჰემპტონთან“ პრემიერლიგაში, ოთხი დღის მერე ამავე გუნდთან ასოციაციის თასზე და ისევ პრემიერლიგაში „ევერტონთან“ ერთი კვირის თავზე.



ლეს ფერდინანდი

# რამ გამოგაკეჩუპა...

## დიეგო სიმეონემ წილი მოითხოვა

**წინა კვირას**, ტურინში „იუვენტუსის“ დამარცხებით, „ლაციომ“ წაუგებელი მატჩების სერია ცამეტამდე აიყვანა და სერია A-ში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. რომაული კლუბი უეფას თასზეც ყოჩაღობს, ამასობაში კი თითქოს ყველას დაავიწყდა, რომ სულ მცირე ხნის წინ ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის ფეხბურთელები 6 თვეა, შიშველი ენთუზიაზმის ხარჯზე თამაშობენ. ამის მიზეზი კი, მოგეხსენებათ, „ლაციოს“ აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელ კომპანია „ჩირიოს“ ფინანსური კრახია.

შეგახსენებთ, სურსათის მწარმოებელმა გიგანტმა წინა თვეში ერთ მილიარდ ევროზე მეტი იზარალა, რამაც „ჩირიოსა“ და ამავე დროს „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტის კლუბის გასხვისება აფიქრებინა.

„ლაციოს“ მყიდველი ჯერ არ გამოჩენია. აი, ფეხბურთელები კი კუთვნილს უკვე ითხოვენ. თავად კლუბის განცხადებით, ბოლო თვეების დავალიანების ნაწილი მხოლოდ იაპ სტამს დაუფარეს, დანარჩენები კი ხელფასს კვლავაც ამაოდ ელიან.

ხმა პირველმა დიეგო სიმეონემ ამოიღო. თუმცა არგენტინელმა ჯერ თანაგუნდელები გააკრიტიკა, ასე „არაკაცურად“ გოლის გატანის ალნიშვნა სად გაგონილაო. საქმე ისაა, რომ დიეგოს თანამემამულე და თანაკლუბელი კლაუდიო ლოპესი გატანილ ბურთებს ევროპაში პოპულარული ესპანური ჯგუფის „ლას კეჩუპის“ სტილში ხელების მოძრაობით ალნიშნავს.

შემდეგ სიმეონე ყველაზე მტკივნეულ თემასაც მიუბრუნდა: „რაიმე გამოსავალი უნდა მოვნახოთ, რადგან ვითარების ასე დატოვება არ შეიძლება. მე ჯერაც მჯერა სერჯო კრანიოტის და არ მინდა ვიფიქრო, რომ მისი დაპირებები ცარიელ სიტყვებს არ გასცდება. ჩვენ, ფეხბურთელებმა, კლუბის წინაშე ვალი უანგაროდ მოვიხადეთ. მოვიდა დრო, რომ კლუბმა მოიხადოს თავისი წილი ვალი ჩვენს წინაშე“ — განაცხადა ნახევარმცველმა.

ამბობენ, ფეხბურთელები დავალიანების ნაწილის გასტუმრებას ქრისტეშობამდე ელოდებიანო.

**სერგი ძორიძე**







დიეგო სიმეონემ ბერნარტო კორადის და კლაუდიო ლოპესს ცეკვა დაუწყო

# ტრუამ მწვრთნელი გაატრიალა

**საფრანგეთის** ჩემპიონატის დაწყების წინ „ტრუას“ მწვრთნელი ალან პერენი „მარსელში“ გადაბარგდა. გავიხსენოთ, რომ „ტრუა“ პერენის თაოსნობით შარშანდელ სეზონში საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.

ძველი მწვრთნელის „მარსელში“ წასვლის შემდეგ — პერინმა ოლიმპიკელები პირველი წრის ჩემპიონებადაც აქცია — გუნდში ახალი სპეციალისტი, ჟაკი ბონივეი მივიდა. მივიდა და ცხრილს თუ ჩახედავთ, იმასაც ნახავთ, „ტრუა“ სადამდე მიიყვანა. გუნდი სინათლის სიჩქარით დაეშვა ფსკერზე და ახლა ბოლოსწინა ადგილიდან იმზირება.

„ტრუას“ ბოსებმა ჟაკი ბონივეის ოთხ თვეზე მეტხანს უყურეს, მაგრამ სახეირო რომ ვერაფერი ნახეს, მწვრთნელის გამოცვლა გადაწყვიტეს. უკვე ცნობილია, რომ ბონივეის ახალი სამსახურის ძებნა მოუწყვეს, თუმცა მისი შემცვლელის ვინაობა ჯერ უცნობია.

# ყოფნა-არყოფნის დილემა

**სულ მალე**, შესაძლოა, შვეიცარიის ჩემპიონატში მოთამაშე კლუბების სიაში „აარაუს“ სახელს თვალიც ველარ მოჰკრათ. კლუბის მესვეურებს თვითგადარჩენის ბოლო ვადა ხვალისთვის აქვთ დათქმული. თუ ვერაფერი გაახერხეს, „აარაუც“ იმ უფსკრულში გადაიჩეხება, რომელმაც უკვე შთანთქა რამდენიმე შვეიცარიული და არაშვეიცარიული კლუბი. ამ უფსკრულის სახელი ფინანსური კრიზისია.

დიახ, უმსხვილესი ბანკების სამშობლოს წარმომადგენელ კლუბსაც მოსძალებია ფულადი პრობლემები. „აარაუს“ სასწრაფოდ ესაჭიროება განსაზღვრული თანხა, გაკოტრებისგან თავის დასაღწევად და სტრუქტურული რეორგანიზაციისთვის, შპს-დ ჩამოსაყალიბებლად, რომელიც მომავალში კლუბის ფინანსური გარანტის როლს შეასრულებს. საჭირო თანხა 2.88 მილიონი შვეიცარიული ფრანკია ( ორი მილიონი ევრო), თუმცა ხვალამდე ოდენ 105 ათასი ევროა საშოვნი.

მაგრამ რაც გინდა, კლუბს ისიც არ აღმოაჩნდა, მცირეოდენი თანხები ფანკლუბებისგან მოაგროვა. ასევე გარკვეული თანხა აარაუელმა, ეროვნული ლიგის პრეზიდენტმა ჟან-ფრანსუა კურცმა შემატა კლუბის ბიუჯეტს, დანარჩენი 56 ათასი ევრო კი „აარაუს“ პრეზიდენტმა მიხაელ ჰანციკერმა საკუთარი ჯიბიდან ამოიღო.

კეთილი, ლიგის მესვეურებისთვის ხვალისთვის საჩვენებელი ფული კლუბმა რის ვაი-ვაგლახით იშოვა, მაგრამ დარჩენილი თანხის უსწრაფესი გარანტია თუ ვერ წარადგინა, მომავალ სეზონში ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზიას ვერ მიიღებს.

„აარაუს“ ფინანსურის გარდა სხვა პრობლემებიც მოსაგვარებელი აქვს კლუბი, 22 შეხვედრაში მოპოვებული 18 ქულით, ცხრილის ფსკერზეა და ნაციონალლიგის A ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად ზამთრის არდადეგების მერე პლეი ოფში მოუწევს თამაში.

**ნინო ძადაგიშვილი**

# FIFA WORLD PLAYER 2002

# ყველაფერი სასწაულისთვის სასწაული ყველასთვის



*წლეულს მან სულ 17 მატჩში ითამაშა კლუბების მაისურით. დიახ, ორი კლუბის – მილანის „ინტერისა" და მადრიდის „რეალის".*

*მილანის „შავ-ლურჯმა" ნაწილმა იგი მოღალატედ და უმადურად შერაცხა. მადრიდში გადაბარგებულს კი, სამეფო გულშემატკივარი ორგულობას აბრალებს – ზოგ მატჩს სერიოზულად უდგება, ზოგს კი აინუნშიაც არ აგდებსო. და მაინც, ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია.*

*ფიფას გალაზე დაჯილდოების მერე პრესკონფერენციაზე მან თქვა, პირველობას რობერტო კარლოსი იმსახურებდა, სამეულში კი ზიდანს და რაულს შევიყვანდიო.*

— ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ თქვენ ისევ პირველი ხართ, ეს სასწაულია?

— ვერ დავიჩემებ, რომ სასწაულია. ვიცი მხოლოდ ერთი: ყველაფერი გავაკეთე ძველი ფორმის დასაბრუნებლად. ცხვირი არასოდეს ჩამომიშვია, ყოველთვის მჯეროდა საკუთარი თავის. მოთმინებისა და შეუპოვრობისთვის კუთვნილი მივიღე.

— კმაყოფილების გრძნობა ხომ არ გეუფლებათ იმისგან, რომ მიაჩუმეთ ის ხალხი, ვინც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ თქვენზე ხელი ჩაიქნია?

— ვინმესთან ანგარიშის გასწორებას არ ვაპირებ. დღეს მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, მომავალში რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო.

— მტანჯველმა ტრავმამ ალბათ თავისი კვალი მაინც დაგიტოვათ...

— მოედანზე გასვლისას მხოლოდ ბურთი მიტრიალებს თავში. შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რაღაც შიშის ჭია მღრღნიდა კიდეც, მაგრამ ის უკვე წარსულია.

— წარსულს თუ გაიხსენებთ, რას გამოარჩევთ?

— ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა. იყო მომენტი, როცა ვერ გადამეწყვიტა ოპერაციის გაკეთება. მეუბნებოდნენ, ძალიან სარისკო საქმეაო. კარგიც მახსენდება, მაგალითად, კოპა ამერიკას მოგება. დღეს მომავალს იმედის თვალით ვჭვრეტ. სირთულეების გადალახვაში კი ფეხბურთის უზომო სიყვარული და გამარჯვების წყურვილი მეხმარება.

| ფეხბურთელი | ეროვნება | I (5 ქულა) | II (3 ქულა) | III (1 ქულა) | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| რონალდო | ბრაზილია | 59 | 28 | 8 | 387 |
| ოლივერ კანი | გერმანია | 16 | 24 | 19 | 171 |
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | 18 | 13 | 19 | 148 |
| რობერტო კარლოსი | ბრაზილია | 15 | 10 | 9 | 114 |
| რივალდო | ბრაზილია | 12 | 8 | 8 | 92 |
| რაული | ესპანეთი | 9 | 11 | 12 | 90 |
| მიხაელ ბალაკი | გერმანია | 5 | 14 | 15 | 82 |
| დევიდ ბექემი | ინგლისი | 1 | 11 | 13 | 51 |
| ტიერი ანრი | საფრანგეთი | 4 | 4 | 6 | 38 |
| მაიკლ ოუენი | ინგლისი | 3 | 5 | 4 | 34 |
| რონალდინიო | ბრაზილია | 1 | 3 | 5 | 19 |
| პატრიკ ვიეირა | საფრანგეთი | 1 | 2 | 3 | 14 |
| ლუიშ ფიგუ | პორტუგალია | 0 | 2 | 4 | 10 |
| ფრანჩესკო ტოტი | იტალია | 1 | 1 | 1 | 9 |
| კრისტიან ვიერი | იტალია | 0 | 2 | 0 | 6 |
| ჰასან შაში | თურქეთი | 0 | 1 | 3 | 6 |
| პატრიკ კლუივერტი | ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 5 |
| გაბრიელ ბატისტუტა | არგენტინა | 1 | 0 | 0 | 5 |
| ალვარო რეკობა | ურუგვაი | 1 | 0 | 0 | 5 |
| მიუნგ-ბო ჰონგი | სამხრეთ კორეა | 0 | 1 | 2 | 5 |

| ფეხბურთელი | ეროვნება | I (5 ქულა) | II (3 ქულა) | III (1 ქულა) | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| ელ-ჰაჯი დიუფი | სენეგალი | 0 | 1 | 2 | 5 |
| პაოლო მალდინი | იტალია | 0 | 1 | 1 | 4 |
| ალესანდრო დელ პიერო | იტალია | 0 | 1 | 1 | 4 |
| ილდირაი ბაშთურქი | თურქეთი | 0 | 1 | 0 | 3 |
| რობერ პირესი | საფრანგეთი | 0 | 1 | 0 | 3 |
| ლუსიო | ბრაზილია | 0 | 1 | 0 | 3 |
| ხუან სებასტიან ვერონი | არგენტინა | 0 | 1 | 0 | 3 |
| ედმილსონი | ბრაზილია | 0 | 1 | 0 | 3 |
| ლანდონ დონოვანი | აშშ | 0 | 0 | 2 | 2 |
| ალესანდრო ნესტა | იტალია | 0 | 0 | 2 | 2 |
| რუუდ ვან ნისტელროოი | ჰოლანდია | 0 | 0 | 1 | 1 |
| მანუელ რუი კოშტა | პორტუგალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| ლილიან ტურამი | საფრანგეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| კლებერსონი | ბრაზილია | 0 | 0 | 1 | 1 |
| ილჰან მანსიზი | თურქეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| იკერ კასილიასი | ესპანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| ჰიდეტოში ნაკატა | იაპონია | 0 | 0 | 1 | 1 |
| ფილიპო ინძაგი | იტალია | 0 | 0 | 1 | 1 |
| კაფუ | ბრაზილია | 0 | 0 | 1 | 1 |

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|
| ალჟირი | ჰამიდ ზუბა | ზიდანი | ანრი | რონალდო |
| ამერიკის სამოა | ლუი ტუნუა | რონალდო | კანი | ბექემი |
| ანდორა | დავიდ როდრიგო | რობერტო კარლოსი | ბალაკი | ზიდანი |
| ანტიგუა და ბარბუდა | ვალტერ გამა | რობერტო კარლოსი | ედმილსონი | რონალდინიო |
| არგენტინა | მარსელო ბიელსა | რაული | ანრი | ტურამი |
| სომხეთი | ოსკარ ლოპესი | ოუენი | რონალდო | რაული |
| ავსტრია | ჰანს კრანკლი | რონალდო | რაული | ვან ნისტელროოი |
| ავსტრალია | ფრენკ ფარინა | რაული | ბალაკი | რობერტო კარლოსი |
| აზერბაიჯანი | ასგერ აბდულაევი | რივალდო | რონალდო | კანი |
| ბაჰამა | გარი უაიტი | კანი | ზიდანი | რონალდო |
| ბაჰრეინი | ვოლფგანგ ზიდკა | კანი | რონალდო | რივალდო |
| ბანგლადეში | ჯორჯ კოტონი | რონალდო | კანი | ზიდანი |
| ბარბადოსი | კენვილ ლეინი | კანი | ბალაკი | რობერტო კარლოსი |
| ბელარუსი | ედუარდ მალოფეევი | რონალდო | რაული | ოუენი |
| ბელგია | ემე ანტუნესი | რობერტო კარლოსი | ანრი | ზიდანი |
| ბელიზი | ედუარდო სანტანა | რონალდო | რივალდო | რაული |
| ბჰუტანი | სონამ მინდუ დინეში | რონალდო | ბექემი | ჰ. ნაკატა |
| ბოსნია | ბლაზე სლიშკოვიჩი | რონალდო | რივალდო | კანი |
| ბოტსვანა | ვესელინ იელუსიჩი | რივალდო | რონალდო | კანი |
| ბრაზილია | ლუიშ ფელიპე სკოლარი | ბექემი | ზიდანი | ფიგუ |
| ბულგარეთი | პლამენ მარკოვი | რონალდო | კანი | ზიდანი |
| ბურკინა ფასო | ჟან-პოლ რაბიე | რონალდო | ზიდანი | ფ. ინძაგი |
| ბურუნდი | დომინიკ ნიონზიმა | კანი | რონალდო | ვიეირა |
| კამბოჯა | ჟოაკიმ ფიკერი | კანი | რაული | ბალაკი |
| კამერუნი | ჟოზეფ ომოგი | რონალდო | კანი | რივალდო |
| კანადა | ჰოლგერ ოსიეკი | რონალდო | კანი | ბალაკი |
| კაბო ვერდე | ოსკარ დუარტე | კანი | რონალდო | დონოვანი |
| კაიმანის კუნძულები | მარსიო მაქსიმო ბარჩელო | რონალდო | რონალდინიო | ანრი |
| ჩილე | სეზარ ვაკია | ანრი | რაული | ზიდანი |
| ჩინეთი | შენ ხიანგფუ | რონალდო | რივალდო | რუი კოშტა |
| ტაივანი | იუნ-ჩენ ჰუანგი | ბატისტუტა | ტოტი | კასილიასი |
| კოლუმბია | ფრანსისკო მატურანა | რობერტო კარლოსი | რონალდო | კანი |
| კონგო | ალან-ნესტორ ნგუინდა | რონალდო | კანი | კაფუ |
| კუკის კუნძულები | მორის ტილოტსონი | რონალდო | ბექემი | ანრი |
| კოსტა რიკა | სტივ სემპსონი | რობერტო კარლოსი | ბექემი | რაული |
| კოტ დივუარი | რობერ ნუზარე | რონალდო | ზიდანი | ვიეირა |
| ხორვატია | ოტო ბარიჩი | რონალდო | ანრი | კანი |
| კვიპროსი | მოცა ვუკოტიჩი | რაული | რონალდო | ბალაკი |
| ჩეხეთი | კარელ ბრუკნერი | რივალდო | რონალდო | ბექემი |
| დანია | მორტენ ოლსენი | ზიდანი | რაული | რობერტო კარლოსი |
| ჯიბუტი | ჰასან მოჰამედ კანუ | ზიდანი | დიუფი | რაული |
| ეკვადორი | ერნან დარიო გომესი | რონალდო | კანი | ზიდანი |
| სალვადორი | არმანდო კონტრერას პალმა | კლუივერტი | რობერტო კარლოსი | რონალდო |
| ეგვიპტე | მოსენ სალეჰი | ზიდანი | ფიგუ | ოუენი |
| ინგლისი | სვენ გორან ერიკსონი | რობერტო კარლოსი | ბალაკი | ზიდანი |
| ერითრეა | ტეკი აბრაჰა | ზიდანი | რონალდო | რობერტო კარლოსი |
| ესტონეთი | არნო პიიპერსი | რობერტო კარლოსი | კანი | ზიდანი |
| ეთიოპია | იოხენ ფიგე | კანი | რონალდო | რობერტო კარლოსი |
| ფარერები | ჰენრიკ ლარსენი | რივალდო | მალდინი | ზიდანი |
| ფიჯი | ლეს შეინფლუგი | ზიდანი | ვიერი | ბექემი |
| ფინეთი | ანტი მუურინენი | რონალდო | ბალაკი | რობერტო კარლოსი |
| საფრანგეთი | ჟაკ სანტინი | ოუენი | რაული | კანი |
| გამბია | სანგ ჯონ დიტონგი | ზიდანი | რონალდო | ფიგუ |
| საქართველო | ალექსანდრე ჩივაძე | რონალდო | რობერტო კარლოსი | ბალაკი |
| გერმანია | რუდი ფიოლერი | ზიდანი | ლუსიო | რონალდინიო |
| საბერძნეთი | ოტო რეჰაგელი | რივალდო | რობერტო კარლოსი | კანი |
| გვატემალა | ხულიო სეზარ კორტესი | რონალდო | კანი | რობერტო კარლოსი |

# FIFA WORLD PLAYER 2002

| ქვეყანა | მწვრთნელი | I ადგილი | II ადგილი | III ადგილი |
|---|---|---|---|---|
| გვინეა-ბისაუ | კანდე ბაკირო | რონალდო | ფიგუ | კანი |
| გუანა | ნიდერ კოლმერორ დუშ სანტუში | რივალდო | რონალდინიო | რონალდო |
| ჰონდურასი | ხოსე დე ლა პას ერერა | რონალდო | რაული | ზიდანი |
| ჰონგ კონგი | კვოკ კა მინგი | რობერტო კარლოსი | ბექემი | ზიდანი |
| უნგრეთი | იმრე დელეი | რონალდო | რობერტო კარლოსი | კანი |
| ისლანდია | ატლი ედვალდსონი | კანი | რონალდო | რონალდინიო |
| ინდოეთი | სტეფან კონსტანტინი | ზიდანი | ვიეირა | ბალაკი |
| ინდონეზია | ჟოპი ლიპელი | რონალდო | ბექემი | რივალდო |
| ირანი | ბრანკო ივანკოვიჩი | რაული | ზიდანი | ტოტი |
| ერაყი | ადნან ჰამდი | რონალდო | ოუენი | რივალდო |
| ირლანდია | დონ გივენსი | რონალდო | რაული | კანი |
| ისრაელი | გრანტ ავრამი | რაული | ბექემი | ბალაკი |
| იტალია | ჯოვანი ტრაპატონი | რობერტო კარლოსი | კანი | რაული |
| იამაიკა | კარლ ბრაუნი | ანრი | რონალდო | რივალდო |
| იაპონია | არტურ კოიმბრა | რობერტო კარლოსი | რივალდო | რონალდო |
| იორდანია | მაჰმუდ ელჯოჰარი | რეკობა | ბალაკი | რობერტო კარლოსი |
| ყაზახეთი | ევგენი ილინი | რონალდო | ბალაკი | კანი |
| სამხრეთ კორეა | კიმ ჰო კონი | რონალდო | ოუენი | ბექემი |
| ქუვეითი | რადოიკო ავრამოვიჩი | რონალდო | კანი | ჰ. შაში |
| ყირგიზეთი | ალმაზ ჩოკმოროვი | ზიდანი | რონალდო | მ. ჰონგი |
| ლატვია | ალექსანდრს სტარკოვსი | რონალდო | კანი | რობერტო კარლოსი |
| ლიბანი | რიჩარდ ტერდი | ზიდანი | ოუენი | რონალდო |
| ლიბერია | კადალა კრომა | ოუენი | რონალდო | დიუფი |
| ლიხტენშტაინი | რალფ ლოოსე | კანი | რონალდო | ბალაკი |
| ლიტვა | გინტას ბუზასი | რონალდო | ბალაკი | ჰ. შაში |
| ლუქსემბურგი | ალან სიმონსენი | ბალაკი | ზიდანი | რონალდო |
| მაკედონია | ნიკოლა ილიევსკი | რონალდო | ვიერი | რაული |
| მალაიზია | ალან ჰარისი | რონალდო | ბალაკი | კანი |
| მალდივეთი | ჯოზეფ იანკეჩი | რონალდო | რივალდო | ბალაკი |
| მალტა | ზიგფრიდ ჰელდი | კანი | რონალდო | ზიდანი |
| მავრიტანია | პატრიკ-კლოდ პარიზონი | რონალდო | ბალაკი | ზიდანი |
| მექსიკა | ალბერტო აგილარი | კანი | რობერტო კარლოსი | დონოვანი |
| მოლდოვა | ვიქტორ პასულკო | რონალდო | ზიდანი | კანი |
| მონსერატი | ოტლი ლაბორდე | რონალდო | ბექემი | ფიგუ |
| მოზამბიკი | მარტინუ ფერნანდეში | რონალდო | ბექემი | ზიდანი |
| მიანმარი | დევიდ ბუთი | რაული | ოუენი | მალდინი |
| ნამიბია | პეტერ იუბერხანი | რივალდო | ზიდანი | კანი |
| ჰოლანდია | დიკ ადვოკაატი | ანრი | ვიეირა | ბალაკი |
| ახალი ზელანდია | მიკ ვეიტი | რივალდო | რაული | ბალაკი |
| ნიკარაგუა | ფლორენსიო ლეიკა | რონალდო | ბექემი | ბალაკი |
| ნიგერი | ჰარუნა დუალა | რონალდო | კანი | რაული |
| ნიგერია | კრისტიან ჩუკვუ | რობერტო კარლოსი | ოუენი | დიუფი |
| ჩრდ. ირლანდია | სემი მაკილროი | რაული | პირესი | ანრი |
| ნორვეგია | ნილს იოჰან სემბი | კანი | ზიდანი | ბალაკი |
| ომანი | მილან მაკალა | ანრი | რივალდო | ბექემი |
| პაკისტანი | ჟოზეფ ჰერელი | კანი | რონალდო | ბექემი |
| პალესტინა | ინგე ვეშესნკე | რონალდო | ზიდანი | ფიგუ |
| პანამა | კარლოს ალბერტო და ლუზი | რონალდო | რივალდო | კლებერსონი |
| პარაგვაი | ანიბალ რუისი | ზიდანი | რონალდო | ბექემი |
| პერუ | სეზარ გონსალეს ურტადო | რონალდო | ვერონი | კანი |
| ფილიპინები | სუგაო კამბე | რონალდო | კანი | რივალდო |
| პოლონეთი | ზბიგნევ ბონეკი | ტოტი | რონალდო | ბალაკი |
| პორტუგალია | ანტონიუ ოლივეირა | რაული | რობერტო კარლოსი | ბალაკი |
| ყატარი | პიერ ლეშანტრე | რობერტო კარლოსი | კანი | ზიდანი |
| რუმინეთი | ანგელ იორდანესკუ | რონალდო | ბექემი | კანი |
| რუსეთი | ვალერი გაზაევი | რონალდო | კანი | ზიდანი |
| სან მარინო | ჯამპაოლო მაცა | რობერტო კარლოსი | დელ პიერო | ბალაკი |
| სენეგალი | აბდულა სარი | კანი | რონალდო | ზიდანი |
| სეიშელი | დომინიკ ბეტენეი | ბალაკი | ზიდანი | რაული |
| შოტლანდია | ბერტი ფოგთსი | ბალაკი | რივალდო | ნესტა |
| სინგაპური | იან-ბო პოულსენი | რობერტო კარლოსი | ბალაკი | ანრი |
| სლოვაკეთი | ლადისლავ იურკემიკი | ზიდანი | კანი | რონალდო |
| სლოვენია | ბოჟან პრაშნიკარი | ზიდანი | რობერტო კარლოსი | ბექემი |
| სომალი | აბდი-ფარაჰ ალი | კანი | რონალდო | ილჰანი |
| სამხრეთ აფრიკა | ეფრამ შალზ მაშაბა | რონალდო | ბალაკი | რაული |
| ესპანეთი | ინაკი საესი | ბალაკი | კანი | რონალდინიო |
| შრი ლანკა | პიდი სირისენა | რივალდო | ჰ. შაში | ბექემი |
| სენტ კიტსი და ნევისი | ერიკ უინსტენლი | ზიდანი | რონალდო | რივალდო |
| სუდანი | აჰმედ ბაბიკერ ელფაკი | რონალდო | რობერტო კარლოსი | ზიდანი |
| სურინამი | ანდი ატმოდიმეჯო | რივალდო | ზიდანი | ბექემი |
| სვაზილენდი | დუმისა მალალელა | კანი | რონალდო | რონალდინიო |
| შვედეთი | ტომი სოდერბერგი, ლარს ლაგერბეკი | ვიეირა | რაული | კანი |
| შვეიცარია | იაკობ კუნი | რონალდო | რონალდინიო | კანი |
| სირია | მილოსავ რადენოვიჩი | ბალაკი | მ. ჰონგი | ჰ. შაში |
| ტაიტი | პატრიკ ჟაკემე | ზიდანი | რონალდო | კანი |
| ტაილანდი | პეტერ უაიტი | რონალდო | ბექემი | რივალდო |
| ტონგა | მილან იანკოვიჩი | რონალდო | ბაშთურქი | რაული |
| ტრინიდადი და ტობაგო | ჯამალ შაბაზი | რონალდინიო | რობერტო კარლოსი | რაული |
| ტუნისი | როჟე ლემერი | ზიდანი | ბალაკი | ანრი |
| თურქეთი | შენოლ გიუნეში | რონალდო | ბალაკი | რაული |
| თარქსი და ქაიქოსის კუნძულები | ჩარლი კუკი | რივალდო | რონალდო | მ. ჰონგი |
| ვირჯინიის კუნძულები | უილიამ რამირესი | რონალდო | კანი | ბექემი |
| უკრაინა | ლეონიდ ბურიაკი | ზიდანი | რაული | ნესტა |
| ურუგვაი | ოსვალდო ხიმენესი | რივალდო | კანი | ბექემი |
| აშშ | ბრიუს არენა | რაული | კანი | ანრი |
| უზბეკეთი | რავშან ჰაიდაროვი | რონალდო | კანი | ბექემი |
| ვენესუელა | რიჩარდ პაიერი | რონალდო | კანი | ზიდანი |
| ვიეტნამი | ენრიკე კალისტო | რობერტო კარლოსი | რონალდო | ოუენი |
| იემენი | სალემ აბდულრაჰმან სალემი | რონალდო | კანი | ოუენი |
| იუგოსლავია | დეიან სავიჩევიჩი | რონალდო | რობერტო კარლოსი | დელ პიერო |
| ზიმბაბვე | სანდი მარიმო | რონალდო | ზიდანი | ვიეირა |



ოლივერ კანი

## ფიფას ნომინანტები

**ფეხბურთელი ქალი**

მია ჰამი (აშშ)
ბრიგიტ პრინცი (გერმანია)
სუნ ვენი (ჩინეთი)

**ფიფას პრეზიდენტის ჯილდო**

ჰარმინდერ ნაგრა
ფილმისთვის
(მიბაძეთ ბექემს)

**ფიფას სპეციალური პრიზი**

გადაეცა მადრიდის „რეალს"
საუკუნოვან
იუბილესთან დაკავშირებით

**ფიფას ღირსების ორდენი**

სანტიაგო ბერნაბეუ, „რეალის"
ყოფილი პრეზიდენტი

**საუკეთესო ნახტომი რეიტინგში**

სენეგალი

**წლის საუკეთესო გუნდი**

ბრაზილია

**ფეირ პლეის პრიზი**

იაპონიის და კორეის
ფეხბურთის ფედერაციები

## მსოფლიოს ჩემპიონატის ნომინაციები

**ოქროს ბურთი**

ოლივერ კანი (გერმანია)

**ვერცხლის ბურთი**

რონალდო (ბრაზილია)

**ბრინჯაოს ბურთი**

მიუნგ-ბო ჰონგი (კორეა)

**ოქროს ბუცი**

რონალდო (ბრაზილია)

**ვერცხლის ბუცი**

მიროსლავ კლოზე (გერმანია)
რივალდო (ბრაზილია)

**იაშინის პრიზი**

ოლივერ კანი

**წლის აღმოჩენა**

სამხრეთ კორეის ნაკრები

**ფეირ პლეის პრიზი**

ბელგიის ნაკრები

## მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები. ფიფას ვერსია

| | |
|---|---|
| 1991 | ლოთარ მათეუსი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი |
| 1993 | რობერტო ბაჯო |
| 1994 | რომარიო |
| 1995 | ჟორჟ ვეა |
| 1996 | რონალდო |
| 1997 | რონალდო |
| 1998 | ზინედინ ზიდანი |
| 1999 | რივალდო |
| 2000 | ზინედინ ზიდანი |
| 2001 | ლუიშ ფიშუ |
| 2002 | რონალდო |

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 001 | არსენალი-მიდლსბრო | 1,35 | 3,8 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,57 |
| | 002 | არსენალი-მიდლსბრო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 003 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 004 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 005 | ჩელსი-ასტონ ვილა 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 | | | |
| 19.00 | 006 | ლიდსი-საუთჰემპტონი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 007 | ნიუკასლი-ფულემი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 19.00 | 008 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2,25 | 3,1 | 3,0 | 1,3 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 009 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| 20.05 | 011 | ლივერპული-ევერტონი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| | | **23 დეკემბერი** | | | | | | |
| 24.00 | 012 | სიტი-ტოტენჰემი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 013 | ბრაიტონი-ლესტერი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 014 | ჯილინგემი-ბარნლი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 015 | გრიმსბი-უენსდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 016 | მილუოლი-ვულვერჰემპტონი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 017 | ნორვიჩი-უოლსოლი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 018 | ნოტინგემი-რედინგი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 019 | პორტსმუთი-იფსვიჩი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 020 | შეფილდი-პრესტონი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.00 | 021 | უოტფორდი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 022 | უიმბლდონი-სტოკი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 21.35 | 023 | ქოვენთრი-დერბი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 16.05 | 024 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 025 | სტოკპორტი-ნორთჰემპტონი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 026 | ბარნსლი-მენსფილდი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 19.00 | 027 | ბლეკპული-პიტერბრო | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 028 | ბრისტოლი-ლუტონი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 029 | ჩელტენემი-უიკომბი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 19.00 | 030 | ჩესტერფილდი-ოლდემი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 031 | კოლჩესტერი-კარდიფი | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 19.00 | 032 | პორტ ვეილი-პლიმუთი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 033 | ქუინს პარკი-ბრენტფორდი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 034 | სუინდონი-ქრიუ | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 19.00 | 035 | ტრანმერი-ნოტსი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 036 | უიგანი-ჰადერსფილდი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 037 | უიგანი-ჰადერსფილდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | **ინგლისი** | | | | | | |
| | | **III დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 038 | იორკი-ლინკოლნი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 039 | ბოსტონი-შრიუსბერი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 040 | ბორნმუთი-ჰალი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
| 19.00 | 041 | ბერი-როჩდეილი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 042 | კემბრიჯი-როვერსი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 043 | დარლინგტონი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,25 | 1,78 |
| 19.00 | 044 | ჰარტლპული-სკანთორპი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 045 | ოქსფორდი-ექსეტერი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 046 | რაშდენი-კარლაილი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 047 | რაშდენი-კარლაილი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 048 | სუონსი-ლეიტონი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 049 | ტორკი-საუთენდი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 050 | რექსემი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,17 | 1,26 | 1,7 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია "A". XV ტური** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 052 | მოდენა-უდინეზე | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 23.30 | 053 | ტორინო-რომა | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 054 | ატალანტა-ემპოლი | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| 18.00 | 055 | კიევო-კომო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 056 | კიევო-კომო 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 18.00 | 057 | ლაციო-ბოლონია | 1,55 | 3,2 | 6,5 | 1,04 | 1,25 | 2,14 |
| 18.00 | 058 | მილანი-ბრეშა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 059 | მილანი-ბრეშა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 18.00 | 060 | პერუჯა-იუვენტუსი | 4,2 | 3,1 | 1,8 | 1,78 | 1,25 | 1,13 |
| 18.00 | 061 | რეჯინა-პიაჩენცა | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 23.30 | 062 | პარმა-ინტერი | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| | | **იტალია. სერია "B". XVII ტური** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 063 | კატანია-ტერნანა | 2,3 | 2,7 | 3,3 | 1,24 | 1,35 | 1,48 |
| 23.30 | 064 | ანკონა-ლეჩე | 2,4 | 2,5 | 3,3 | 1,22 | 1,38 | 1,42 |
| 23.30 | 065 | ნაპოლი-ვენეცია | 2,15 | 2,8 | 3,5 | 1,21 | 1,33 | 1,55 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 066 | ბარი-ლივორნო | 2,2 | 2,7 | 3,5 | 1,21 | 1,35 | 1,52 |
| 18.00 | 067 | კოზენცა-სალერნიტანა | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 18.00 | 068 | პალერმო-ასკოლი | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,07 | 1,28 | 1,87 |
| 18.00 | 069 | სამპდორია-ვერონა | 1,65 | 2,9 | 6,0 | 1,05 | 1,29 | 1,95 |
| 18.00 | 070 | სიენა-ჯენოა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 18.00 | 071 | ტრიესტინა-მესინა | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 18.00 | 072 | ვიჩენცა-კალიარი | 2,3 | 2,6 | 3,4 | 1,22 | 1,37 | 1,47 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XV ტური** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 093 | ატლეტიკო-რასინგი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 23.00 | 094 | ბილბაო-ალავესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 23.00 | 095 | მალაგა-რეალი | 3,6 | 3,0 | 2,0 | 1,63 | 1,28 | 1,2 |
| 24.00 | 096 | სელტა-ვილიარეალი | 1,6 | 3,2 | 5,6 | 1,06 | 1,24 | 2,03 |
| 24.00 | 097 | რაიო-სევილია | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 00.30 | 098 | მალიორკა-ბარსელონა | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 099 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 100 | უელვა-სოსიედადი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 20.00 | 101 | ბეტისი-ოსასუნა | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 102 | ვალენსია-დეპორტივო | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **21 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 103 | ფეროლი-ეხიდო | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 21.00 | 104 | ოვიედო-ლევანტე | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 21.30 | 105 | კომპოსტელა-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 21.30 | 106 | ალმერია-ელჩე | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| 22.30 | 107 | მურსია-კორდობა | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.30 | 108 | ტერასა-ბადახოსი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 24.00 | 109 | ტენერიფე-სალამანკა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 110 | ხეტაფე-სპორტინგი | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| 15.00 | 111 | ლევანტე-ლას პალმასი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 20.00 | 112 | ეიბარი-ნუმანსია | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 20.00 | 113 | სარაგოსა-სერესი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. XX ტური** | | | | | | |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 114 | პსჟ-ბორდო | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 115 | სოშო-ლანსი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 116 | გენგამი-აიაჩო | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 117 | მონპელიე-ოსერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,29 | 1,37 |
| 23.30 | 118 | ლილი-ლე ავრი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.30 | 119 | სედანი-ლიონი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,39 | 1,29 | 1,34 |
| 23.30 | 120 | მარსელი-მონაკო | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 121 | ბასტია-ნანტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,54 |
| 23.30 | 122 | სტრასბური-ნიცა | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 123 | ტრუა-რენი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. XIX ტური

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 126 | კრეტეი-კაენი | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |
| 23.30 | 127 | ბოვე-ნანსი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 128 | ისტრი-გენიონი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.30 | 129 | ლორიანი-ვალანსი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 130 | მეცი-ამიენი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.30 | 131 | ნიორი-ლავალი | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |
| 23.30 | 132 | სტ-ეტიენი-კლერმონი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 23.30 | 133 | ტულუზი-რეიმსი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
|  | 134 | ტულუზი-რეიმსი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |  |  |  |

პორტუგალია. I ლიგა. XV ტური

21 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 135 | ბელენენსეში-ლეირია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 01.00 | 136 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
|  |  | 22 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 137 | მორეირენსე-სანტა კლარა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 20.00 | 138 | ჟილ ვისენტე-ბეირა მარი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 20.00 | 139 | ბრაგა-სეტუბალი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.00 | 140 | ფერეირა-აკადემიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.00 | 141 | ვარზიმი-პორტუ | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 01.00 | 142 | სპორტინგი-ნასიონალი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
|  | 143 | სპორტინგი-ნასიონალი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |  |  |  |
|  |  | 23 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 22.00 | 144 | გიმარაეში-მარიტიმუ | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |

პორტუგალია. II ლიგა. XV ტური

21 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | სალგეიროში-მარკუ | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,11 | 1,25 | 1,81 |
|  |  | 22 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 146 | ალვერკა-ავეში | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 19.00 | 147 | შავეში-ოვარენსე | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| 19.00 | 148 | ფარენსე-რიუ ავე | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.00 | 149 | ლამაში-პენაფიელი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 150 | მადეირა-ფელგეირაში | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 19.30 | 151 | ნავალი-კოვილია | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 20.00 | 152 | ამადორა-ლეცა | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| 20.00 | 153 | მაია-პორტიმონენსე | 2,25 | 3,0 | 3,1 | 1,28 | 1,3 | 1,52 |

ბელგია

I დივიზიონი. XVII ტური

21 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 180 | გენტი-გენკი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 23.00 | 181 | მუსკრონი-მეხელენი | 1,15 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,21 |
| 23.00 | 182 | შარლერუა-ვესტერლო | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.00 | 183 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
|  | 184 | ანდერლეხტი-ბევერენი 0:1 | 1,35 | 3,6 | 4,0 |  |  |  |
| 23.00 | 185 | ბრიუგე-ლომელი | 1,1- | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
|  | 186 | ბრიუგე-ლომელი 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 |  |  |  |
| 23.00 | 187 | ლიერსი-ბეერსხოტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 23.00 | 188 | სტ-ტრუიდენი-ლოკერენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.00 | 189 | მონსი-ლევეი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
|  |  | 22 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 17.00 | 190 | ანტვერპენი-სტანდარდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |

თურქეთი. XVIII ტური

21 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 213 | ადანა-ისთანბული | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 214 | ბეშიქთაში-ბურსა | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |
|  | 215 | ბეშიქთაში-ბურსა 0:1 | 1,25 | 4,0 | 4,7 |  |  |  |
|  |  | 22 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 15.30 | 216 | მალათია-ანკარაგიუჯუ | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 15.30 | 217 | ალთაი-დიარბაქირი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 15.30 | 218 | დენიზლი-გაზიანთეფი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 15.30 | 219 | ელაზიგი-გიოზთეფე | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 15.30 | 220 | გენჩლერი-ქოჯაელი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
|  | 221 | გენჩლერი-ქოჯაელი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |  |  |  |
| 18.30 | 222 | სამსუნი-გალათასარაი | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 21.00 | 223 | ფენერბაჰჩე-ტრაბზონი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |

შოტლანდია პრემიერლიგა. XXI ტური

21 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 224 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 225 | სელტიკი-დანდი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
|  | 226 | სელტიკი-დანდი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |  |  |  |
| 19.00 | 227 | დანდი იუნაიტედი-პართსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 228 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 19.00 | 229 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
|  |  | 22 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 19.00 | 230 | პარტიკი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,35 | 2,6 | 1,14 | 1 |

ინგლისი. თასი. II ეტაპი.

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 254 | კარლაილი-სკანთორპი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |

იტალია. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები.

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 264 | პერუჯა-სამპდორია | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 20.30 | 265 | ემპოლი-ლაციო | 2,7 | 3,0 | 2,45 | 1,42 | 1,28 | 1,34 |
| 24.00 | 266 | ინტერი-ბარი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |

საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 287 | პაოკ-ოფი | 1,4 | 3,6 | 7,5 | 1 | 1,17 | 2,43 |
| 21.00 | 288 | აეკ-აპოლონი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |

ჰოკეი. გერმანია

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 618 | დიუსელდორფი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
|  |  | 20 დეკემბერი |  |  |  |  |  |  |
| 22.30 | 619 | ჰანოვერი-კასელი | 2,15 | 4,0 | 2,3 | 1,39 | 1,11 | 1,46 |
| 22.30 | 620 | ძზერლონი-ინგოლშტადი | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |
| 22.30 | 621 | აისბარენი-კიოლნი | 1,95 | 4,0 | 2,5 | 1,31 | 1,09 | 1,53 |
| 22.30 | 622 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2,3 | 4,0 | 2,15 | 1,46 | 1,11 | 1,39 |
| 23.00 | 623 | კრეფელდი-აუგსბურგი | 1,5 | 4,2 | 3,8 | 1,1 | 1,07 | 1,99 |
| 23.00 | 624 | შვენინგი-ნიურნბერგი | 2,6 | 4,0 | 1,9 | 1,57 | 1,09 | 1,28 |

კალათბურთი. ევროლიგა.

19 დეკემბერი

|  |  |  | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 727 | სიენა-მაკაბი | 1,6 | 12,0 | 2,0 | 1,41 | 1 | 1,71 |
| 23.30 | 728 | ალბა-სკიპერი | 1,9 | 12,0 | 1,7 | 1,64 | 1 | 1,48 |
| 23.30 | 729 | ციბონა-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |
| 23.30 | 730 | ბენეტონი-ეფესი | 1,3 | 12,0 | 2,8 | 1,17 | 1 | 2,27 |
| 23.30 | 731 | ტაუ-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

21.12 19.00 .. 2601 .......... ინგლისი პლ. (XIX ტური) .......... 25 ან ნაკლები – 1,9 27 ან მეტი – 1,9
21.12 21.00 .. 2602 .......... იტალია "A" (XV ტური) .......... 23 ან ნაკლები – 1,9 25 ან მეტი – 1,9
21.12 21.00 .. 2603 .......... ესპანეთი Iდ. (XV ტური) .......... 25 ან ნაკლები – 1,9 27 ან მეტი – 1,9
21.12 22.00 .. 2604 .......... პორტუგალია Iლ. (XV ტური) .......... 23 ან ნაკლები – 1,9 25 ან მეტი – 1,9
21.12 23.00 .. 2605 .......... ბელგია Iდ. (XVII ტური) .......... 26 ან ნაკლები – 1,9 28 ან მეტი – 1,9
21.12 15.30 .. 2606 .......... თურქეთი. (XVIII ტური) .......... 26 ან ნაკლები – 1,9 28 ან მეტი – 1,9

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, [illegible] კორპუსი
პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 30 დეკემბრიდან „კროკოში" საშობაო-საახალწლო შესვენებაა, მუშაობა 8 იანვარს განახლდება



**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Г კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქ №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

FIBA-Europe CHALLENGE-CUP

# ღია ფარის დღე

## თბილისელებმა და ბაქოელებმა აქეთ-იქით და ბევრი ისროლეს



აზერბაიჯანელებს ხელი არც დინამოელმა აჰმედ მუპემ დაყლო

**დინამო 131:99 ნტდ**

29:22, 31:26, 39:21, 32:30

**დინამო:** ნაცვლიშვილი (12), ჩხეიძე (20), ბეჟანიშვილი (21), მუპე (6), სიროვინა (22); თორთლაძე (3), ელინტი (13), მარკოიშვილი (12), ჯაფარიძე (13), ჩუბინიძე (9)
**ნტდ:** ფაშაევი (27), სარიევი (16), ნიფთალიევი (13), პამიდზადე (3), ბახშიევი (33); ოსუფოვი (5), სამოილოვი (2), აბდინოვი
**მსაჯები:** ტომაშ კუდლიკი (პოლონეთი), გენადი პონომარიოვი (რუსეთი)
**კომისარი:** იონას სტორაპიშტისი (ლიტვა)

**ირაკლი გერტაია**

**გუშინ თბილისის** „დინამომ“ აზერბაიჯანულ „ნტდ დევონს“ 32 ქულით მოუგო და ქართულ კლუბებში ბათუმის „ბასკოს“ მიერ ევროთასზე მიღწეული უკეთესი შედეგი გაიმეორა — „ჩელენჯ ქაფის“ ჯგუფური ეტაპიდან გავიდა.

გავიდაო, ვთქვით, თუმც რომ ვერ გასულიყო, საოცრება ის იქნებოდა. „დინამოს“ პირველად მაშინ გაუმართლა, როცა ჯგუფში მეტოქედ ამ ტურნირის ალბათ ყველაზე სუსტი მონაწილე, ბაქოს კლუბი ერგო. მეორედ კი, როცა ჯგუფის ფავორიტმა, რუსულმა „ევრაზმა“ უგანა ევროპის ამ უმდაბლესი რანგის ტურნირს და დინამოელებსაც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად აფშერონული გუნდის ჯობნალა დასჭირდათ, რაც იოლად მოახერხეს.

მატჩის შედეგი ყველასთვის წინასწარ იყო ცნობილი — საქართველოში საევროთასოდ ასეთი სუსტი გუნდი არასდროს ჩამოსულა. საკითხავი ისლა იყო, დინამოელები სამარცხვინოდ გაანადგურებდნენ მეტოქეს თუ არ გაიმეტებდნენ. თბილისელებმა სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს და ისედაც განწირული ბაქოელები მთლად შერცხვენილნი არ გაუშვეს სამშობლოში.

მართალია, არც 32-ქულიანი წაგება დიდი შეღავათი, მაგრამ ნტდ ამითაც კმაყოფილი უნდა იყოს. თბილისელებს რომ მოენდომებინათ, ორჯერ 32 ქულითაც იმარჯვებდნენ, მაგრამ გუშინ დინამოელებს თავი არ გამოუდვიათ — დაცვაში არ ჩადიოდნენ ისე, როგორც საჭირო იყო და აზერბაიჯანელებს საკმაოდ ბევრი, 99 ქულა ჩააგდებინეს. ამას იმიტომ აკეთებდნენ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ, იქით უფრო მეტს უთავაზებდნენ.

„დინამომ“ პირველი ტაიმის უმეტესი ნაწილი გამთამაშებლის გარეშე ითამაშა — ამ პოზიციაზე ლევან მოსეშვილმა ამპლუით ფორვარდი გიგი ნაცვლიშვილი გააქწესა, რომელსაც არ გასჭირვებია თამაშის გაძღოლა. ან კი როგორ გაუჭირდებოდა, როცა მის აცაბაცა ოპონენტ ზაურ ფაშაევს „დინამოს“ ცენტრმა იოვან სიროვინამ საწყის ორ წუთში ორჯერ ასწაპნა ბურთი. საბოლოოდ სიროვინას ყველაზე მეტი, 9 ჩაჭრა დაუგროვდა და ის „დინამოს“ ბომბარდირიც გახდა 22 ქულით.

აზერბაიჯანელები მატჩს ერთადერთხელ იგებდნენ, ფუად ნიფთალიევის ორქულიანმა მე-6 წუთზე ნტდ 13:12 დააწინაურა. ეს იყო და ეს — „დინამო“ უმალვე გალიდერდა, სოლიდური უპირატესობა მოიგდო და ლლაბუცლლაბუც ჩაამთავრა თამაში.

ბაქოელთა მწვრთნელმა ბაჰრამ აბდინოვმა მატჩის შემდეგ დინამოელთაგან იოვან სიროვინა აქო. სტუმარმა არ იცოდა, ამ მატჩში სიროვინას მემარქაფედ მასზე ბარე 10 სანტიმეტრით მაღალი სომეხი არმენ ოგანესიანი რომ უნდა ჰყოლოდა და არა ირაკლი ჯაფარიძე — „დინამოს“ პირვანდელ ოქმში ასე ეწერა და ცვლილება ბოლოსლა მოხდა თავად ოგანესიანის თხოვნით. არმენს მიზეზს თავად დავეკითხე, როცა შესვენებაზე ტრიბუნებზე დაალაჯებდა. მიპასუხა, აზერბაიჯანელებთან თამაში არ მინდაო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხიმკი | 4 | 4 | 0 | +134 | 8 |
| დინამო | 4 | 2 | 2 | +51 | 6 |
| ნტდ | 4 | 0 | 4 | -185 | 4 |



# ფორმულაში კალათბურთელი მოვიდა

## გაისად ოცეული ირბოლებს





ამ „ტოიოტაში“ გაისად კრისტიანო და მატა ჩაჯდება

FORMULA 1

**საშველი** ვერ დაადგა „ჯორდანის“ მეორე პილოტის ვინაობის გარკვევას. პირველნომრობა იტალიელმა ჯანკარლო ფიზიკელამ შეინარჩუნა, ხოლო მის შესაძლო მეწყვილედ ასახელებენ სადღეისოდ უმუშევარ რამდენიმე მეფორმულეს — ედი ირვინს, ენრიკე ბერნოლდის, ტაკუმა სატოს, ფელიპე მასას, პედრო დე ლა როსას. საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, „ყვითლების“ ირლანდიელი შეფი ედი ჯორდანი არჩევანს სეხნია-თანამემამულე ირვინზე შეაჩერებს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო რბოლების“ ყველა სხვა საჯინიბოს საგაისო შემადგენლობა უკვე შევსებულ-დაზუსტებულია, თანაც სეზონთშორისი ტესტების სამივე კვირა მიილია და მალე 2003 წლის ბოლიდების პრეზენტაციის დროც დადგება, ჯორდანი სულაც არ ჩქარობს, სადღეისოდ გუნდის ფინანსურ-ტექნიკური პრობლემები უფრო მადარდებსო. დრო კი ამ შემთხვევაში გაქნილი ბოსის მხარეზეა, რაც უფრო გვიან მიიღებს გადაწყვეტილებას, მით ნაკლები თანხის გადახდა მოუწევს შენაძენში, რადგან უსაქმოდ დარჩენილ მძღოლებს გასაქცევი არსად აქვთ და მცირე გასამრჯელოსაც დაჰყაბულდებიან.

იმასაც ალვნიშნავთ, რომ ორი თვის წინ ჩამთავრებული 53-ე საფორმულო ჩემპიონატის ოცი მონაწილიდან თოთხმეტმა სამუშაო შეინარჩუნა, თუმც ოთხს გუნდის შეცვლა მოუხდა. გაისად სამი ახალბედა ირბოლებს — ბრაზილიელები კრისტიანო და მატა, ანტონიო პიცონია და ინგლისელი ჯასტინ უილსონი. ყურადღების ცენტრში ამერიკული „კარტის“ სერიის ჩემპიონი და მატაა. 29 წლის უკვე საქვეყნოდ სახელდაგდებული პილოტი „ტოიოტას“ ღირსებას დაიცავს. კრისტიანო „ევროპულ რბოლებში“ თავის მომავალს იმედიანად უყურებს: „ფორმულა 1 ავტორბოლის მწვერვალია და მიხარია, რომ მის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ვირბოლებ. ვეცდები, პირველივე სეზონში თუნდაც ერთი დიდი პრიზი მოვიგო. წარმატების იმედი რომ არ მქონდეს, ევროპისკენ არც გამოვიხედავდი“.

პიცონიამ და უილსონმა მომცრო, ფორმულა 3000-ში მიღწევებით მოაწონეს თავი „სამეფო“ ბოსებს. შარშანდელ ჩემპიონ ბრიტანელს წლეულსვე უპირებდნენ პირველი ფორმულის ბოლიდში ჩასმას, მაგრამ კალათბურთელის სიმაღლის (192 სმ) გამო კოკპიტში ვერ ჩაეტია. ამჯერად, „მინარდის“ კონსტრუქტორებმა მანქანაში რადიკალური ცვლილებები შეიტანეს და უილსონიც გაისად ამ საჯინიბოსთვის იჯირითებს.

რაც შეეხება ჩამთავრებულ სატესტე სამკვირეულს, ხუთგზის ტრიუმფატორ მიხაელ შუმახერის გარდა, რომელიც სავსებით დამსახურებულ ხანგრძლივ შვებულებაშია და საჭეს შუა იანვარში მიუჯდება, დანარჩენებმა ორიოდ დღით მაინც ჩაიქროლჩაივარჯიშეს. ყველაზე მეტი, ექვსექვსი პილოტი გამოსცადეს „უილიამსმა“ და „რენომ“. „ფერარით“ ვიცე-ჩემპიონი რუბენს ბარიკელო და „წითლების“ სათადარიგოები — ლუჩანო ბურტი და ლუკა ბადოერი დაქროლდნენ.

„სამეფო რბოლების“ საგაისო, 54-ე ჩემპიონატში ათი გუნდი ჩაებმება. გაკოტრების პირას მდგარმა „ეროუსმა“ როგორც იქნა, მხსნელი იპოვნა და სათანადო თანხიანი განაცხადი დაწესებულ ვადაში სადაც ჯერ არს, შეიტანა, მაგრამ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ „ნარინჯისფრებს“ ბოლო ხუთი ეტაპის გამოტოვება არ აპატია და საასპარეზო ლიცენზია არ მისცა.

**გია ახალაძე**

**2003 წლის ოცი მეფორმულე**

**ფერარი** — მიხაელ შუმახერი, რუბენს ბარიკელო
**უილიამსი** — რალფ შუმახერი, ხუან პაბლო მონტოია
**მაკლარენი** — დევიდ კულჰარდი, კიმი რაიკონენი
**რენო** — იარნო ტრული, ფერნანდო ალონსო
**ზაუბერი** — ნიკ ჰაიდფელდი, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი
**ჯორდანი** — ჯანკარლო ფიზიკელა, ედი ირვინი(?)
**იაგუარი** — მარკ ვებერი, ანტონიო პიცონია
**BAR** — ჟაკ ვილნევი, ჯენსონ ბატონი
**ტოიოტა** — ოლივიე პანი, კრისტიანო და მატა
**მინარდი** — იოს ფერსტაპენი, ჯასტინ უილსონი





ვალენტინო როსი

# ანარქია წესრიგის დედაა

**იტალიელ** და ესპანელ სამართალდამცავებს უკანასკნელ დღეთა განმავლობაში ფოსტით დაგზავნილი ყუმბარების განაღმვა უხდებათ. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ნაღმებს მავანი ანარქისტული ორგანიზაციის — „ჩინკვე ჩე“-ს წარმომადგენლები აგზავნიან. ანარქისტთა მიზანი ოცი წლის წინ ესპანეთში გასამართლებული და ციხეში ჩასმული ორი თანამებრძოლის გათავისუფლება ყოფილა.

ჩვენი დაინტერესება კი ამ ინფორმაციამ მხოლოდ იმის გამო გამოიწვია, რომ ერთ-ერთი ამ (როგორც ჩანს — გამაფრთხილებელი) ყუმბარათაგანი 23 წლის იტალიელი მოტომრბოლის, განთქმული ვალენტინო როსის მისამართზეც მისულა. ყველა დანარჩენი „ასაფეთქებელი ამანათის“ დარად სპეციალისტებმა ეს ყუმბარაც ცივცივად გაანეიტრალეს, თავად მრბოლი და მისი ოჯახის წევრები კი იმ დღის შემდეგ პოლიციელთა განსაკუთრებული დაცვის ქვეშ არიან.

შეგახსენებთ, რომ „მოტოშუმახერად“ წოდებული როსი უკვე ორი წელია, 500-კუბურსანტიმეტრიანი მოტოციკლებით რბოლაში ჩემპიონობს და 108 გრანპრიდან 50-ში უმარჯვია.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანმა და პიპენმა ჟურნალისტებს ჩაუგდეს



REUTERS მინეაპოლისიდან

შაყილ ონილმა „მინესოტასთან“ საკუთარი სახე დაკარგა

— 17 დეკემბერი —

**ატლანტა 99:109 ვაშინგტონი**
ატლანტა: რობინსონი (33), აბდურ-რაჰიმი (20 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)
ვაშინგტონი: ჯორდანი (30), სტეკჰაუზი (23), ჰიუზი (20)

**დალასი 118:97 ინდიანა**
დალასი: ფინლი (33 ქულა, 13 მოხსნა), ნოვიცკი (20), ვან ექსელი (20 ქულა, 13 პასი)
ინდიანა: ონილი (20), ჰარინგტონი (15)

**მინესოტა 96:80 ლეიკერსი**
მინესოტა: გარნეტი (23 ქულა, 11 მოხსნა)
ლეიკერსი: ონილი (17), ბრაიანტი (15)

**ნიუ იორკი 101:99 ნიუ ჯერსი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (29), ტომასი (17)
ნიუ ჯერსი: კიდი (39 ქულა, 11 პასი), მარტინი (18)

**პორტლენდი 102:93 ნიუ ორლეანი**
პორტლენდი: ველსი (30), ვოლესი (22 ქულა, 13 მოხსნა)
ნიუ ორლეანი: მაშბურნი (22), დევისი (21)

**საკრამენტო 95:86 ფინიქსი**
საკრამენტო: ვებერი (27 ქულა, 12 მოხსნა), ჯექსონი (19)
ფინიქსი: ჯეკობსენი (15), მარიონი (14)

**მილუოკი 117:122 ტორონტო**
ძირითადი დრო 104:104
მილუოკი: ალენი (37), კასელი (21), რედი (19)
ტორონტო: ლენარდი (23), პეტერსონი (21), ე. უილიამსი (19), ჰანტერი (18)

მაიკლ ჯორდანს კარიერის დასალიერს უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კაცი დაბერდა, რამდენიმე კვირაში 40 წლისა გახდება და თითქოს არ უნდა გავიკვირვოთ, თუ ყოველ თამაშში 20 ქულას ველარ აგდებს და მისი „ვაშინგტონიც“ ხშირად აგებს, მაგრამ მაინც ვკიცხავთ, რადგან მაიკლ ჯორდანის ყოველი უფერული თამაში მსუყე ლუკმაა ჟურნალისტებისთვის.

ოკეანგაღმა გაჩაღებულმა ანტისაჯორდანო კამპანიამ აპოგეას ამ კვირადღეს მიაღწია, როცა მაიკლმა 40 წუთში მხოლოდ ორი ქულა ჩააგდო და წინა სეზონში დამყარებული კარიერის ანტირეკორდი გაიმეორა. ჯორდანი ხასიათის კაცია და სწორედ მძაფრი კრიტიკა სჭირდებოდა იმისთვის, რომ საკუთარ თავში მინავლებული საომარი კოცონი გაეჩაღებინა. 17 დეკემბერს „ატლანტასთან“ შეხვედრაში მან სეზონში სარეკორდო, 30 ქულა ჩააგდო და ყველას ერთად გასცა პასუხი: „არ მინდა, ვინმე ფიქრობდეს, რომ მე აღარ შემიძლია ბურთის ჩაგდება. აგერ, დაინახეთ, თუ მოვინდომებ, მშვენივრადაც შემიძლია“ — ნიშნი მოუგო ჯორდანმა კალმიან-მიკროფონიან ხალხს.

ჯორდანმა პირველივე წუთებზე დაანთო ცეცხლი და „ვაშინგტონს“ საწყისი მეოთხედი 34:22 მოაგებინა. მაიკლს ცუდად პატრონობდა ატლანტელთა ლიდერი — გლენ რობინსონი. რობინსონმა თავიდანვე შეატყო, თავიც რომ მოეკლა, მაიკლს მაინც ვერ გააჩერებდა და გადაწყვიტა, მისი შეტევებისთვის შეტევებით ეპასუხა. საბოლოოდ მან ჯორდანზე მეტი ქულა მოინაგრა, მაგრამ თავისიანებს მაინც ვერ უშველა, რაკი ის ქულების მკეთებელი მანქანაა, მაიკლ ჯორდანი კი დიდი კალათბურთელია, 39 წლის ასაკშიც.

დალმა მიექანება მეორე მოქმედი ლეგენდის, ჯორდანის ოდინდელი ლოსტის სკოტი პიპენის კარიერაც. 37 წლის პიპენი ახლაც ბევრის გადამწყვეტი მოთამაშეა, თუმც ასაკი მასაც ატყვია და არც კრიტიკა აკლია. პიპენი პირდაპირი კაცია, არ გაურბის თავის თავზე სიმართლეს, პირიქით, თავადაც ამბობს, ნეტავ, ძველი ენერგია მომცაო, მაგრამ ამასთან ერთად სხვებსაც პირში ახლის სიმართლეს, ვინც უნდა იყოს მისი მწარე, მაგრამ მართალი სიტყვების სამიზნე. ამ დღეებშიც მან გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნს“ მინი-ინტერვიუ მისცა, სადაც მაგრად გაამათრახა საკუთარი გუნდის, „პორტლენდის“ მილიარდერი პატრონი პოლ ალენი და კლუბის პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი ბობ ვისტიტი: „მაგათ არ უნდათ სპორტული წარმატებები, მხოლოდ ის სურთ, ხალხის გული მოიგონ და ამის გამო გუნდში უსაქმურების არმია მოყარეს. შონ კემპის გადმოყვანა ყველაზე ცუდი ტრეიდია სპორტის ისტორიაში. კემპი ჩამოწერილი კალათბურთელია, მაგრამ ისინი ამას მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მიხვდნენ“ — „ჩიკაგო ტრიბუნის“ ფურცლებიდან ლაპარაკობდა პიპენი.

გუშინწინ პორტლენდურმა გაზეთებმა პიპენს შეაპარეს, ბოდიშს ხომ არ მოიხდიდი შენი უფროსობის წინაშეო, მაგრამ ვეტერანმა არ დაიხია. „სიმართლეს ვამბობ და ვინ რა უნდა დამაკლოს? ყოველთვის ვამბობდი სიმართლეს და ვიტყვი კიდეც. ჩვენი გუნდი სავსეა მუქთი ფულის მკეთებელი ბიჭებით, რომელთაც არ სურთ თავის შეწუხება და სერიოზულ თამაშებში ოფლის მოღვრა“ — თავისას არ იშლის პიპენი.

მასთან რომ არაფერი გამოუვიდათ, ჟურნალისტებმა მის თანაგუნდელებს ჩამოუარეს, იქნებ ამათ დავაცდენინოთ რაიმეო, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. თანაგუნდელებზე [illegible] მიუხედავად, პიპენს [illegible] მაგა მისი ერთ-ერთი პარტნიორი ბონზი ველსი. „კარგად ვიცი, ბიჭებო, თქვენ წყლის ამღვრევას და სკანდალის თუ რაღაც მსგავსის აგორებას ესწრაფვით, მაგრამ გაგაწბილებთ. მე არ ვიტყვი რაიმე სათქვენოს ჩვენს ლიდერზე, მე იმასაც კი არ ვაპირებ, მას არ დავეთანხმო“ — უთხრა ჟურნალისტებს ველსმა.

იმ დღეს „პორტლენდი“ საკმაოდ ლონიერ „ნიუ ორლეანს“ ხვდებოდა და გაზეთებსა და ტელევიზიას კიდევ ერთხელ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, პიპენი თამაშს ჩააფლავებს და ამის გამო მაინც გავაძრობთ ტყავსო. პიპენმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ უნივერსალია, 201-სანტიმეტრიანმა და ასაკის გამო გვარიანად დამძიმებულმა ბურთის გათამაშება და შეტევების ორგანიზება ითავა და ამ საქმეს გაცილებით უკეთ გაართვა თავი, ვიდრე „პორტლენდის“ ნომინალურმა გამთამაშებელმა, 178-სანტიმეტრიანმა დეიმონ სტუდემაიერმა. მან 11 ქულასთან ერთად 8 პასიც გააზერხა და ბონზი ველსს 30, ხოლო რაშიდ ვოლესს 22 ქულის გაკეთებაში დაეხმარა. „პორტლენდმაც“ „ნიუ ორლეანი“ დაამარცხა.

საინტერესო შეხვედრისთვის უნდა ემასპინძლა ტეხასის გულ დალსს, უმასპინძლა კიდეც, მხოლოდ ეს შეხვედრა არ გამოდგა საინტერესო. მასპინძელმა „დალასმა“, დასავლეთის უპირობო ლიდერმა, იოლად დაამარცხა აღმოსავლეთის წამყვანი გუნდი „ინდიანა“ და ინდიანაპოლისში დამარცხებისთვის ჯავრიც იყარა.

კვლავ წააგო ჩემპიონმა „ლეიკერსმა“, ამ ჯერზე „მინესოტასთან“, თან ყოველგვარი ბრძოლის გარეშე. თამაში ერთდროულად ჩააფლავა ლოსანჯელესელთა ორივე ლიდერმა, შაკილ ონილმა და კობი ბრაიანტმა. ორივემ ერთად 32 ქულა თუ მიაშველა გაჭირვებულ ჩემპიონს.

**ირაკლი ფირცხვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ბოსტონი | 16 | 8 | 66,7 |
| ნიუ ჯერსი | 16 | 9 | 64,0 |
| ფილადელფია | 16 | 9 | 64,0 |
| ორლანდო | 13 | 13 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 11 | 13 | 45,8 |
| ნიუ იორკი | 8 | 14 | 36,4 |
| მაიამი | 6 | 18 | 25,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 18 | 6 | 75,0 |
| დეტროიტი | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ ორლეანი | 17 | 9 | 65,4 |
| ატლანტა | 10 | 14 | 41,7 |
| მილუოკი | 10 | 14 | 41,7 |
| ჩიკაგო | 8 | 16 | 33,3 |
| ტორონტო | 8 | 16 | 33,3 |
| კლივლენდი | 5 | 21 | 19,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 21 | 3 | 87,5 |
| სან ანტონიო | 14 | 10 | 58,3 |
| ჰიუსტონი | 13 | 10 | 56,5 |
| მინესოტა | 14 | 11 | 56,0 |
| იუტა | 12 | 11 | 52,2 |
| მემფისი | 7 | 19 | 26,9 |
| დენვერი | 6 | 19 | 24,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 21 | 6 | 77,8 |
| ფინიქსი | 14 | 11 | 56,0 |
| სიეტლი | 14 | 11 | 56,0 |
| პორტლენდი | 12 | 11 | 52,2 |
| კლიპერსი | 11 | 14 | 44,0 |
| ლეიკერსი | 10 | 16 | 38,5 |
| გოლდენ სტეიტი | 8 | 16 | 33,3 |

# მს ბავშვი შენია!

## ფულზე მონადირე ქალი ჯორდანსაც გამოუჩნდა

**ამ ბოლო ხანებში** კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანს მაგრად აეწეწა საქმეები. მას მოედანზეც უჭირს ყოველ თამაშში, ყოველ მეორე დღეს ჯორდანობის გაწევა და ამას გარდა პირად ცხოვრებაშიც გაუჩნდა პრობლემები. შარშან მას ცოლი შემოსწყრა და ლამის ოჯახი დაენგრა, ახლა კი მავანი ქალბატონი სასამართლოში უჩივის და მისგან 5 მილიონ დოლარს ითხოვს იმ მოტივით, რომ ჯორდანი მისი შვილის მამაა.

ეს ქალბატონი, კარლა ნაფელი ამბობს, რომ ჯორდანთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 1989-91 წლებში და კალათბურთელს დაშორდა, როდესაც მისგან ბავშვი ეყოლა. ჯორდანმა მაშინ მას აღუთქვა 5 მილიონი დოლარი იმ პირობით, რომ საიდუმლოს შეუნახავდა. ქ-ნი ნაფელის თქმით, კალათბურთელი დაპირდა, რომ 1 მილიონს ბავშვის გაჩენამდე გადაუხდიდა, დანარჩენს კი მოგვიანებით, მაგრამ სიტყვა გატეხა და საწყალი ქალისთვის მეოთხედი მილიონის მეტი არაფერი გაიმეტა.

ქ-ნი ნაფელი დაწვრილებით ჰყვება, როგორ შეხვდა მაიკლ ჯორდანს. 1989 წელს ის ინდიანაპოლისის ერთ-ერთ სასტუმროში მომღერლად მუშაობდა, სადაც გაიცნო ნბა-ს მსაჯი ედი რაში (დღესაც მსაჯობს ნბა-ს თამაშებს), რომელსაც „ინდიანა“ — „ჩიკაგოს“ მატჩში უნდა ემსაჯა. რაშმა ნაფელს წინადადება მისცა, „ჩიკაგოს“ სუპერვარსკვლავ მაიკლ ჯორდანს გაგაცნობო, მაგრამ მომღერალს უარი უთქვამს, როგორც მსაჯისთვის, ასევე ჯორდანისთვის, რომელმაც მას ნომერში დაურეკა. „თავი მტკიოდა და უარი ვთქვი ჯორდანთან შეხვედრაზე, მაგრამ ის არ მომეშვა და მერეც გამუდმებით მირეკავდა. ბოლო-ბოლო ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ჩიკაგოში. მას რამდენიმე თვის მოყვანილი ჰყავდა ცოლი ხუანიტა და მე მასთან ურთიერთობას მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი, რომ მითხრა, ჩვენი ქორწინება საქმიანი გარიგება იყო და ცოლი მხოლოდ კარგი იმიჯის შესაქმნელად მოვიყვანეო. შემდეგ კი, როცა ჩვენ ბავშვი გვეყოლა, 5 მილიონის მოცემას შემპირდა, მაგრამ მხოლოდ 250 000 მომიგდო“ — ჰყვება თავის ამბავს კარლა ნაფელი.

და რას ამბობს მაიკლ ჯორდანი? ის არ უარყოფს იმას, რომ ამ ქალთან ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ უარყოფს ამ ქალის შვილის მამობას და მასთან რაიმე გარიგების არსებობას. მისმა ადვოკატებმა სასამართლოს ამ ორი დღის წინ წარუდგინეს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ ჯორდანის ნათქვამს. „ის, რასაც ეს ქალბატონი და მისი ვექილები ამბობენ, მტკნარი სიცრუეა. დიახ, მაიკლ ჯორდანს ჰქონდა ურთიერთობა მასთან. მაგ ქალმა ჯორდანთან გატარებული რამდენიმე ღამეში მეოთხედი მილიონი აიღო, ესეც მართალია, მაგრამ სიცრუეა რაიმე ხელშეკრულების არსებობა მასსა და ჩემს კლიენტს შორის. ჩემი კლიენტი არასდროს დათანხმებულა მისთვის 5 მილიონის მიცემას“ — თავისას ამტკიცებს ჯორდანის ადვოკატი ფრედერიკ სტერლინგი.

თავისას ითხოვს დაზარალებულიც. ქ-ნი ნაფელის ადვოკატი მაიკლ პანაფანი კატეგორიულად უარყოფს იმას, რომ ქალი ფულის გამოძალვას ესწრაფვის. ამბობს, ჩემს კლიენტს გარიგების პირობები უნდა შეუსრულდესო.

ძალიან კი ცდილობს დაზარალებული მხარე, ხუმრობა ხომ არაა, საქმე 5 000 000 მილიონ დოლარს ეხება.

გაგრძელება იქნება.

**ქეთი ყორშია**



მაიკლ ჯორდანი ყურადღების ცენტრში არასაკალათბურთო ამბითაც მოექცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. ვაჟები

ჯგუფური ეტაპი. საბოლოო ვითარება

*A ჯგუფი:* მაგდებურგი (გერმანია) — ფოტექსი (უნგრეთი) 27:28; ვისლა (პოლონეთი) — პანელინიოსი (საბერძნეთი) 28:26

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 6 | 0 | 0 | 163:127 | 12 |
| მაგდებურგი | 4 | 0 | 2 | 179:166 | 8 |
| ვისლა | 1 | 0 | 5 | 167:195 | 2 |
| პანელინიოსი | 1 | 0 | 5 | 131:152 | 2 |

*B ჯგუფი:* პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — კოლდინგი (დანია) 32:30; პალამანო (იტალია) — შახტარი (უკრაინა) 36:27

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 5 | 0 | 1 | 180:142 | 10 |
| კოლდინგი | 4 | 0 | 2 | 178:152 | 8 |
| პალამანო | 2 | 1 | 3 | 163:175 | 5 |
| შახტარი | 0 | 1 | 5 | 135:187 | 1 |

*C ჯგუფი:* პრული (სლოვენია) — მონპელიე (საფრანგეთი) 29:24; ჩეხოვსკიე მედვედი (რუსეთი) — კარვინა (ჩეხეთი) 40:23

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 5 | 0 | 1 | 166:160 | 10 |
| პრული | 4 | 0 | 2 | 179:169 | 8 |
| მედვედი | 2 | 0 | 4 | 182:170 | 4 |
| კარვინა | 1 | 0 | 5 | 167:195 | 2 |

*D ჯგუფი:* კილი (გერმანია) — ზაგრები (ხორვატია) 24:28; ვარდარი (მაკედონია) — ფიბრექსნეილონი (რუმინეთი) 26:25

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კილი | 4 | 0 | 2 | 175:150 | 8 |
| ზაგრები | 3 | 1 | 2 | 156:154 | 7 |
| ფიბრექსი | 2 | 1 | 3 | 164:162 | 5 |
| ვარდარი | 2 | 0 | 4 | 152:181 | 4 |

**შესარჩევი** ეტაპის დასკვნით ტურს მინიმალური ინტრიგა შერჩა — მეოთხედფინალის ბოლო მონაწილეც იყო გასარკვევი.

D-ჯგუფელები „ზაგრები" და „ფიბრექსნეილონი" ერთნაირ სატურნირო ვითარებაში იყვნენ, ორივეს ხუთ-ხუთი ქულა ჰქონდა, თანაც ჯგუფურ ტურნირს სტუმრად ამთავრებდნენ. ისე, რუმინეთის ჩემპიონის შანსი ოდნავ უკეთესი ჩანდა, რადგან მათი მეტოქე ხორვატებისაზე სუსტია. მაგრამ „ფიბრექსმა" სკოპიეში ქულის მოპოვებაც ვერ შეძლო, კილში კი სენსაცია მოხდა: ვადამდე ჯგუფში პირველადგილგანაღდებულმა და საკუთარ „პალეში" 6000 ქომაგის მხარდაჭერით შეგულიანებულმა გერმანელებმა ტაიმი უპრობლემოდ მოიგეს — 14:10, მაგრამ შესვენების შემდეგ თითქოს გუნდი შეცვალესო, ისე გაფლანგეს ამხელა უპირატესობა, რომ მეორე ნახევარსაათიანი პერიოდი რვაბურთიანი სხვაობით დათმეს და სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

შედეგად, ერთი კვირის წინ პლეიოფში გასულ შვიდეულს ხორვატთა საუკეთესო კლუბი შეუერთდა და მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ: „კოლდინგი" — „ფოტექსი", „მაგდებურგი" — „პორტლენდ სან ანტონიო", „ზაგრები" — „მონპელიე", „პრული" — „კილი". თამაშები მიმოსვლით მარტში გაიმართება, მანამდე კი, იანვრის მიწურულს, კაცი ხელბურთელთა ელიტა პორტუგალიაში სამსოფლიოსჩემპიონო ბრძოლაში ჩაებმება.

## სეოკ-ის წევრთა საყურადღებოდ!

2002 წლის 20 დეკემბერს, 12 საათზე, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია.

*სეოკ-ის წევრთა რეგისტრაცია დაიწყება იქვე 11 საათიდან.*

*სეოკ-ის აღმასკომი*

# დღეს ხომ ჩემი დღეობაა... სამი გოლი გამაქვს

17 დეკემბერი

**ლოს ანჯელესი 6:2 სენტ ლუისი**
**1:1 3:0 2:1**

1:0 მოდრი (16), 1:1 ტკაჩუკი (18), 2:1 ბელანჟე (21), 3:1 სმოლინსკი (27), 4:1 ბელანჟე (38), 4:2 მელანბი (45), 5:2 პალფი (54), 6:2 ბელანჟე (58)

რა ცუდია, რომ დაბადების დღე წელიწადში ერთხელაა. ლოსანჯელესელ ერიკ ბელანჟეს ამ თამაშამდე მხოლოდ სამი გოლი გაეტანა, მაგრამ დადგა მისი დაბადების დღე და თავი გაიგიჟა, კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა, თან ერთი გოლი უმცირესობაში გაიტანა. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ამჯერად ბელანჟე მწვრთნელმა გუნდის წამყვან პლეიმეიკერ ჯეისონ ელისონს შეუამხანაგა და სამი შაიბიდან ორი ახალი პარტნიორის დახმარებით გაიტანა.

**ფინიქსი 5:2 პიტსბურგი 2:2 0:0 3:0**

1:0 ამონტე (5), 1:1 ნიემინენი (10), 2:1 რადივოიევიჩი (14), 2:2 პუშორი (16), 3:2 აბიდი (41), 4:2 მ. ჯონსონი (54), 5:2 აბიდი (58)

ნჰლ-ის ისტორიაში პირველად ყინულზე არაბი გამოვიდა. რამზი აბიდი მონრეალში დაბადებული კანადის მოქალაქეა. 22 წლის ახალბედამ ამ შეხვედრაში ნამდვილად დაატერორა პიტსბურგის დაცვა და ორი შაიბით ლომის წილი დაიდო გამარჯვებაში. აღსანიშნავია, რომ ზედიზედ მეორე მატჩია, მარიო ლემიე უქულოდ ტოვებს მოედანს. იგი მხოლოდ ერთი ორწუთიანი ჯარიმით გამოირჩა, მისმა პიტსბურგმა კი ზედიზედ მეცხრედ წააგო.

**ჩიკაგო 3:2 ვანკუვერი 0:1 2:0 1:1**

0:1 კუკი (16), 1:1 ბელი (23), 2:1 ბერეზინი (25), 2:2 ბერტუცი (55), 3:2 კოლდერი (60)

კაილ კოლდერმა ჩიკაგოს ბოლო წამებზე გაამარჯვებინა.

**ნეშვილი 0:3 კალგარი 0:1 0:2 0:0**

0:1 ბეგინი (2), 0:2 ცელინა (26), 0:3 კონროი (26)

**მინესოტა 4:3 ედმონტონი 0:2 1:0 2:1 1:0**

0:1 იორკი (5), 0:2 იორკი (20), 1:2 ვანვიკი (29), 1:3 კომრი (44), 2:3 გაბორიკი (49), 3:3 პარკი (53), 4:3 პარკი (65)

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მინესოტა წლეულს სერიოზულ ძალად იქცა — თავისთვის ყველაზე მოუხერხებელ მეტოქე ედმონტონსაც სძლია.

**მონრეალი 1:3 სან ხოსე 0:1 0:1 1:1**

0:1 რატიე (1), 0:2 მარლო (35), 1:2 გილმორი (46), 1:3 სელიანე (54)

**ფილადელფია 2:2 დალასი**
**0:2 0:0 2:0 0:0**

0:1 მოდანო (1), 0:2 არნოტი (11), 1:2 პრიმო (52), 2:2 რეკი (53)

კენ ჰიჩკოკის ამჟამინდელი (ფილადელფია) და ყოფილი (დალასი) გუნდების პირველი მატჩი ზუსტად მისი დაბადების დღეს დაემთხვა. ცხადია, სახელოვან მწვრთნელს ძალიან უნდოდა, ახალ გუნდს მოეგო, რადგან დალასიდან ერთობ ნაწყენი წავიდა, თუმცა თამაში ისე არ წარიმართა, როგორც მას ეწადა. ორი სწრაფი გოლის შემდეგ სიტუაციას დალასი აკონტროლებდა, მაგრამ ფილადელფიელთა ლიდერ ჯერემი რენიკის სუფთად ჩატარებულმა ძალისმიერმა ილეთმა ჰიჩკოკი გამოაცოცხლა. ამის შედეგად დალასელთა წამყვანი ცენტრი მაიკ მოდანო ბორტს დაეჯახა და თამაში ველარ გააგრძელა. მერე „მფრინავებმა" შეძლეს ანგარიშის გათანაბრება: სტუმრებს ზედიზედ ორი გაძევება ძვირად დაუჯდათ.

„კიდევ კარგი, რომ ყველაფერი დასრულდა და ეს განცდა გადავიტანე — ამოისუნთქა ჰიჩკოკმა — დღეს ჩემი გუნდი ნაკლებემოციური იყო, თუმცა ერთი აფეთქებაც საკმარისი აღმოჩნდა ფრის მისაღწევად".

**აილენდერსი 2:2 დეტროიტი**
**2:0 0:1 0:1 0:0**

1:0 მარტინეკი (1), 2:0 ბლეიკი (17), 2:1 ლარიონოვი (31), 2:2 რობიტაილი (47)

დეტროიტში ტრავმების ეპიდემიაა. ნიკლას ლიდსტრიომსა და კრის ჩელიოსთან ერთად დღეისთვის გუნდში იმდენი დაშავებულია, დაცვის ხაზს დებიუტანტებიღა შემორჩნენ. ამიტომ მეკარე კერტის ჯოზეფის ოდნავ სუსტმა თამაშმა მატჩს უმალვე დაღი დაატყო — 0:2 პირველი პერიოდის შემდეგ. თუმცა დაიწყო მეორე პერიოდი, კარში მენი ლეგასი ჩადგა, რამდენიმე ძნელი შაიბა მოიგერია და პარტნიორები გამოაცოცხლა. დეტროიტელმა სერგეი ფიოდოროვმა ლიგაში თავის მონაგარს ერთი ქულაც შემატა და 900 დაუგროვდა.


REUTERS

მეკარის დარდი... ვანკუვერის მეკარე დან კლუტიემ ჩიკაგოსთან ზედ ბოლო წამზე გაუშვა შაიბა

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტა** | | | | | | |
| ფილადელფია | 30 | 15 | 7 | 1 | 7 | 73:64 | 38 |
| ნიუ ჯერსი | 28 | 16 | 1 | 3 | 8 | 70:60 | 36 |
| რეინჯერსი | 34 | 13 | 4 | 1 | 16 | 86:109 | 31 |
| პიტსბურგი | 31 | 11 | 3 | 4 | 13 | 88:99 | 29 |
| აილენდერსი | 31 | 11 | 5 | 0 | 15 | 84:99 | 27 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 30 | 19 | 3 | 1 | 7 | 99:72 | 42 |
| ოტავა | 29 | 17 | 4 | 0 | 8 | 89:67 | 38 |
| მონრეალი | 32 | 14 | 4 | 2 | 12 | 89:101 | 34 |
| ტორონტო | 31 | 15 | 2 | 0 | 14 | 88:77 | 32 |
| ბუფალო | 29 | 7 | 5 | 1 | 16 | 63:78 | 20 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 31 | 15 | 3 | 3 | 10 | 96:88 | 36 |
| კაროლინა | 32 | 13 | 4 | 3 | 12 | 76:82 | 33 |
| ვაშინგტონი | 32 | 13 | 3 | 0 | 16 | 83:96 | 29 |
| ფლორიდა | 30 | 9 | 7 | 4 | 10 | 74:93 | 29 |
| ატლანტა | 30 | 8 | 1 | 3 | 18 | 78:113 | 20 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 31 | 17 | 5 | 1 | 8 | 98:78 | 40 |
| სენტ ლუისი | 31 | 16 | 4 | 2 | 9 | 100:79 | 38 |
| ჩიკაგო | 32 | 15 | 4 | 0 | 13 | 73:75 | 34 |
| კოლუმბუსი | 30 | 11 | 3 | 2 | 14 | 90:94 | 27 |
| ნეშვილი | 31 | 7 | 5 | 4 | 15 | 62:85 | 23 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 33 | 18 | 6 | 1 | 8 | 88:72 | 43 |
| ვანკუვერი | 32 | 18 | 5 | 0 | 9 | 97:78 | 41 |
| ედმონტონი | 32 | 16 | 4 | 2 | 10 | 88:79 | 38 |
| კოლორადო | 31 | 10 | 9 | 4 | 8 | 82:80 | 33 |
| კალგარი | 32 | 9 | 5 | 3 | 15 | 67:91 | 26 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 33 | 18 | 7 | 1 | 7 | 104:66 | 44 |
| ლოს ანჯელესი | 31 | 14 | 4 | 3 | 10 | 86:77 | 35 |
| ანაჰაიმი | 31 | 13 | 6 | 3 | 9 | 77:74 | 35 |
| სან ხოსე | 31 | 13 | 2 | 3 | 13 | 86:90 | 31 |
| ფინიქსი | 33 | 11 | 5 | 2 | 15 | 84:102 | 29 |

# გაუპატიურებაზე იჯდა? იჯდა. იარაღზე? იჯდა


ბილ ტიბეტსი

**ამ უქმეებზე** რეინჯერსმა მეკარე მაიკ დანემი რომ შეიძინა, ეს უკვე გაუწყეთ. მასთან ერთად გუნდში კიდევ ორი მოთამაშე მივიდა, რომლებზეც ყურადღებას არც შევაჩერებდით, რომ არა ერთი გარემოება. ერთ-ერთი მათგანი, ვინმე ბილ ტიბეტსია, 28 წლის ფორვარდი, რომელსაც აქამდე 71 თამაში ჩაუტარებია ლიგაში და მხოლოდ ორი გოლი გაუტანია. თან დიდხანს არცერთ გუნდშიც არ გაჩერებულა. სამაგიეროდ, ბილი სკანდალური ქრონიკების გმირი ყოფილა. ახალგაზრდობაში იგი ძველბიჭობდა როგორც ყინულზე, ისე მის გარეთ. რაღა არ ჩაუდენია. ყველაფერი 1992 წელს დაიწყო, როცა 17 წლის ტიბეტსმა ორი წლით უმცროსი გოგო გააუპატიურა. მაშინ იოლად გადარჩა, ერთწლიანი პატიმრობის მერე პირობით გაათავისუფლეს თუმცა ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. 1993 წელი — კიდევ ერთი გაუპატიურება. 1994 — ექვსთვიანი პატიმრობა პოლიციის ოფიცრის სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ამ ინციდენტის ერთ-ერთი თვითმხილველის შეშინებისთვის. 1995 — ორნახევარი წელი ციხეში იარაღის გამოყენებისთვის, რასაც ერთი ამდენიც დაემატა ძველი „გმირობებისთვის". 1999 — სანიმუშო ყოფაქცევისთვის ტიბეტსი ვადამდე ერთი წლით ადრე გაათავისუფლეს და ჰოკეისტის კარიერის გაგრძელების ნება მისცეს, ოღონდ იმ პირობით, რომ წესიერად მოიქცეოდა მოედანზე. თუმცა ბილმა თავისი აგრესია ყინულზე გადაიტანა, 2001 წელს სათადარიგოთა სკამიდანვე დარსი ჰორდიჩუკს ერთი-ორი უთავაზა, ხოლო მომდევნო სეზონში ჩხუბისთავობისთვის სამჯერ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

აი, ასეთი ბიჭი შეიძინეს „ბროდვეელმა ყმაწვილებმა". ვნახოთ, როგორ გამოადგება იგი გუნდს. თუმცა პირველი მატჩის შემდეგ (სან ხოსესთან 2:1 მოგება) ტიბეტსმა პარტნიორთა ქება დაიმსახურა, ძალიან ენერგიულია, რასაც გუნდსაც გადასცემსო.

# მქსპრეს-სკანდალი
## რუსული ინტერვიუ ამერიკული ბოდიშით

**3 დეკემბერს** ლიგის უხნეს მოთამაშე იგორ ლარიონოვს 42 წელი რომ შეუსრულდა, „სპორტ ექსპრესმა" მასთან ცხელ-ცხელი ინტერვიუ გამოაცხო, რომლის ავტორიც იგორ ლარინი გახლდათ. ეს ინტერვიუ ერთობ მწვავე აღმოჩნდა, რადგან იგორმა საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა თავისი ამჟამინდელი თავკაცი დევი ლიუისი. „სკოტი ბოუმენი დიადი მწვრთნელია და მას ვერავინ შეცვლის... გაუგებარია, რატომ შემიმცირეს ასე სათამაშო დრო. ახლა მხოლოდ 11-12 წუთს ვატარებ ყინულზე, რაც ჩემს ასაკში ნამდვილად მიულებელია" — აი, ეს დაიწერა გაზეთში, მაგრამ ლარიონოვის თქმით, მას ამდაგვარი არაფერი უთქვამს. არადა, როგორც კი ინტერვიუ როიტერის საშუალებით გავრცელდა, დეტროიტში დიდი სკანდალი ატყდა. სიტუაცია თავად ფორვარდმა განმუხტა: „ეს ნონსენსია. დეტროიტი უდიდესი კლუბია და ჩემთვის ამ გუნდში ყოფნა უდიდესი პატივია" — განაცხადა ლარიონოვმა და მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ მისებრ გამოცდილი და თავშეკავებული მოთამაშე თავს უფლებას მისცემდა, ასეთი არაკორექტული განცხადება გაეკეთებინა. ლარიონოვმა ისიც გაიხსენა, რომ ადრე იმავე ლარინის ინტერვიუმ სერგეი ფეოდოროვის მამასთან, ვიქტორთან ასევე გაამწვავა სიტუაცია გუნდში. თავად მან ტელეფონიც კი შეიცვალა, რათა „სპორტ ექსპრესის" ჟურნალისტთან საუბარი თავიდან აეცილებინა, თუმცა მაინც ვერ გაექცა. „მე ვიცნობ მას, როგორც უარყოფით პიროვნებას. რუსულად ველაპარაკე, ასე რომ, ყველაფერი სწორად უნდა გაეგო და ინტერვიუს კეთებისას პრობლემები არ შექმნოდა" — თქვა იგორმა და მოგვიანებით დასძინა, რომ აწი რუსეთის მასმედიის არც ერთ წარმომადგენელს აღარ გაესაუბრება.


იგორ ლარიონოვი

**სამველ ლარიბიანი**

# ჰაურაკის ყურეში



REUTERS ოკლენდიდან

კვლავ ახალზელანდიური ოკლენდის ნაპირი და „ამერიკის" ყურე. უქარობის გამო გაჩერებულან ლუის ვუტონის თასისთვის მებრძოლი იტალიური „პრადას" და ამერიკული „ვან ვორლდ ჩელინჯის" ნავები. ნახევარფინალში ამერიკელებს 3-2 მოუგიათ იტალიელებისთვის, თუმცა „პრადა" სანუგეშო ნახევარფინალში კიდევ ერთ ამერიკულ ნავს, „ორაკის" შეეჯიბრება. დელფინები კი კარგ ხასიათზე არიან.

# შოკოლადის ბექჰი

იაპონელებს იმდენი უქნიათ, რომ დევიდ ბექემის ძეგლი შოკოლადისგან ჩამოუსხამთ. ბექჰი ამასწინათ იმყოფებოდა იაპონიაში და ერთ-ერთი შოკოლადის მწარმოებლის რეკლამაც გასწია. ძეგლიც ამ კომპანიის ნაწილია.



REUTERS ტოკიოდან



REUTERS ლას ვეგასიდან

# სპილობურთი

ნეპალში, მეგაუელის ეროვნულ პარკში სპილობურთის მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. ეს ბურთაობა დიახაც რომ პატივშია მწვერვალების ქვეყანაში. სურათზე ერთმანეთს ხვდებიან „ეროვნული პარკის" (მარჯვნივ) და „ჩივას რეგალ სკოტლენდის" გუნდები.



REUTERS მეგაუელიდან

# ოსკარამდე

კრივის შუა წონებში, რომელთა შორის სხვაობაც ორიოდ კილოგრამი თუა, მოკრივენი ხშირად შესუქდებიან ხოლმე, რათა სხვა წონაშიც იბრძოლონ ტიტულისთვის, ასეთია ამერიკის ოქროს ბიჭი, ოსკარ დელა ჰოია და ასეთები არიან „შუგარ" შეინ მოსლი და რაულ მარკესი, რომლებიც ამ შაბათს ლას ვეგასის „მენდელი ბეიში" შეებრძოლებიან ერთმანეთს. თუ მოსლი მოიგებს, ნაღდად შეერკინება დე ლა ჰოიას საბჭოსა და ასოციაციის ქამრებისთვის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვატა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge